კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო

უსაფრთხოების სამაგისტრო-საგანმანათლებლო პროგრამა

სტუდენტი-სალომე ნოზაძე

სამაგისტრო ნაშრომი

პოსტსაბჭოთა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი თამარ კიკნაძე

თბილისი-2019

Annotation

The main priorities of post-Soviet Georgia's foreign policy

The phenomenon of smaller states in the post-Soviet space is more or less studied in the theory of international relationships. We considered as the main priority and the importance of foreign policy and the analysis of a small state like Georgia.

Georgia is one of the oldest countries in the world. In 1991, after the collapse of the Soviet Union, the country started to build independence again.

Georgia was always the bridge and one of the main connection between Europe and Asia, and geographically it was the shortest way.

It gives the country an important geopolitical and transit function. The region at the crossroads connecting Europe and Asia is very attractive.

In the master's survey we discussed the priorities of the country, the attitude towards after countries or alliances, and tried to evaluate the main priorities of Georgia's foreign policy.

The data used in our study gives us an overview of political orientation with its advantages and disadvantages.

The phenomenon of the small state in the post-soviet space, and the peculiarities of its foreign policy are inspected in a different and new way.

Salome Nozadze

ანოტაცია

პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული პატარა სახელმწიფოების ფენომენი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში მეტ-ნაკლებად არის შესწავლილი. თვალსაჩინოებისთვის, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები და მნიშვნელობა მოგვერგო და გაგვეანალიზებინა ისეთ პატარა სახელმწიფოსთან მიმართებაში,როგორიც საქართველოა.

საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოა. 1991წელს,საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქვეყანამ კვლავ დაიწყო დამოუკიდებლობის შენება.

გეოგრაფიულად საქართველო ევროპასა და აზიას აკავშირებს და მათ შორის უმოკლესი გზაა,ეს კი ქვეყანას მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ და სატრანზიტო ფუნქციას ანიჭებს. ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ გზაჯვარედინზე მდებარე რეგიონი მეტად მიმზიდველია.

სამაგისტრო კვლევაში განვიხილეთ აღნიშნული ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის პრიორიტეტები, დამოკიდებულება სახელმწიფოებსა, თუ ალიანსებთან და ამ პრიზმიდან შევეცადეთ შეგვეფასებინა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები.

ნაშრომში გამოყენებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს დეტალურად გავიაზროთ პოლიტიკური ორიენტაცია და მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

აკადემიურ ნაშრომში ახლებურად არის გააზრებული პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული პატარა სახელმწიფოს ფენომენი და მისი საგარეო პოილიტიკის თავისებურებები.

შინაარსი

შესავალი.....5

თავი.I. პროდასავლური პოლიტიკური არჩევანის ისტორიული წანამძღვრები

და თეორიული ჩარჩო

1.1. რეალიზმი, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების საფუძველი.....8

1.2. პოსტსაბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და დასავლური პოლიტიკური არჩევანი…….....…….....9

1.3. საქართველო, როგორც აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორი.....18

თავი.II. საქართველოს ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან

1.4. რუსეთის პოლიტიკა და მისი ინტერესები საქართველოში.....24

1.5. საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები პოსტსაბჭოთა პერიოდში**….**..30

1.6. საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობები.....36

თავი. III. საქართველო და საერთაშორისო ორგანიზაციები

1.7. გაეროს მოქმედების პრინციპები, მიზნები და ამოცანები საქართველოსთან მიმართებაში.....45

1.8. თანამშრომლობა ეუთოსთან.....47

1.9. საქართველს თანამშრომლობა შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკურუ თანამშრომლობის ორგანიზაციასა სუუამთან.....48

1.10. ექსპერტთა შეხედულებები საქართველოს პროდასავლური კურსის შესახებ.....54

დასკვნა.....65

გამოყენებული ლიტერატურა.....67

შესავალი

პოსტ-საბჭოთა საქართველოს,უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა მისი ჩასახვიდანვე,რამდენიმე მნიშვნელოვანი საფრთხისა და გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა,რისი მაგალითებიც ქვეყნის უახლოეს ისტორიაში მრავლად მოიძებნება.

დღეს საქართველო, მისი რთული გეოპოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე,საკმაოდ მყიფე უსაფრთხოების გარემოში იმყოფება. ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესია მშვიდობიანი განვითარება და სტაბილურობა.

ამგვარი განვითარების პირობების შექმნა კი იმაზე გაცილებით რთულია ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

მნიშვნელოვანი საკითხია ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის ძირითადი ვექტორები და ის შესაძლო ზეგავლენა,რომელიც ამა თუ იმ არჩევანმა,სახელმწიფოს უსაფრთხოების ალგორითმზე შეიზლება მოახდინოს.

საქართველოს შიდა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სივრცეში ყველაზე აქტიურად შემდეგი ვექტორები განიხილება,ესენია:“პროდასავლური“ და „პრორუსული“ კურსები,“სამეზობლო პოლიტიკა“ და „თანამშრომლობა გლობალურ დონეზე“. რომელიც, თავის თავში რადიკალურად განსხვავებულ ხედვას გულისხმობს ქვეყნის მომავალ განვითარებასთან დაკავშირებით.

თემის აქტუალობა- ერთი შეხედვით,საქართველო პატარა სახელმწიფოა,რომელსაც არ აქვს მნიშვნელოვანი და გადამწვეტი როლი,საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე,თუმცა მისი სპეციფიური გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო,წამყვანი სახელმწიფოების მუდმივი ინტერესების სფეროში იყო და არის.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ,მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესები საინტერესო ტენდენციაზე მიგვანიშნებს,რაც უშუალოდ არის დაკავშირებული კავკასიის რეგიონთან და ასევე მისი შემადგენელი ნაწილის საქართველოს მიმართ არსებული სხვადასხვა სუპერსახელმწიფოების ინტერესებთან.

საკვლევ თემას აქტუალობას სძენს 21საუკუნეში მძაფრი კონკურენციის სივრცედ ქცეული მსოფლიო გავლენის ცენტრები და მათ მიერ წარმოებული გეოპოლიტიკური პროექტები და ამ სივრცეში მინიჭებული საქართველოს ადგილისა და როლის განსაზღვრა.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური არჩევანი ეს ის თემაა,რომელსაც საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტიდან ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

ასევე საკვლევ თემას, აქტუალობას სძენს ის ფაქტიც, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში პატარა სახელმწიფოების როლი საგრძნობლად იცვლება და ახლებურად წარმოგვიდგება.

ამ მოცემულობიდან გამომდინარე **საკვლევი კითხვებია:**

1. რამ განაპირობა საქართველოს საგარეო პოლიტიკის პროდასავლური ვექტორი?

2. რა დაბრკოლებები არსებობს ამ გზაზე და რით არის განპირობრბული ეს

   დაბრკოლებები ამ არჩევანისადმი?

3. რა მექანიზმებით ახორციელებს საქართველო ევროატლანტიკურ

   სტრუქტურებში ინტეგრირების პოლიტიკას?

საკვლევ საკითხთან მიმართებით **თემის ჰიპოთეზა** შემდეგია -„პოსტ-საბჭოთა საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან ცალსახად განსაზღვრა პროდასავლური არჩევანი და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. რაც, მთელ რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო თანდათან ახორციელებს ამ სტრუქტურებში გაწევრიანებისათვის აუცილებელი დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას და ღირებულებითი სისტემის შეთვისებას, ამ გზაზე მას მაინც სერიოზული დაბრკოლებები გააჩნია.“

კვლევის საგანი- ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს, საქართველოს, როგორც დასავლეთის ერთგული პარტნიორის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მხარეებისა
და პრიორიტეტების ქრონოლოგიური ანალიზი.

ნაშრომის მიზანი - სამაგისტრო ნაშრომის მიზნად ვისახავთ,განვიხილოთ დასავლური პოლიტიკური არჩევანის დადებითი და უარყოფითი მხარეები, გავარკვიოთ თუ რა შედეგი შეიძლება მოუტანოს ამ არჩევანმა საქართველოს, მისი სტაბილური და უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფის საქმეში.

განვიხილავთ რამდენად შეუძლია ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა წარმატებით განახორციელოს დემოკრატიული ტრანზიცია, განსაკუთრებით იმ პირობებში როცა მისი მეზობელი ქვეყნები ავტორიტარულია.

ნაშრომის **მეთოდოლოგია:** ნაშრომს საფუძვლად უდევს ,რეალიზმის თეორია, სადაც საუბარია იმაზე, თუ როგორ ახდენს გავლენას გარე ფაქტორები სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაზე,თუმცა ამავე დროს რეალიზმის წარმომადგენლები,ამ შემთხვევაში

კი ქენეთ უოლცი არაფერს ამბობს შიდა ფაქტორების მნიშვნელობაზე. უმეტეს შემთხვევაში საერთაშორისო პოლიტიკის თეორია ვერ შეძლებს სრულყოფილი დასკვნების გაკეთებას საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით.
მიუხედავად იმისა, რომ რეალიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელი ქენეთ უოლცი აკრიტიკებს ანალიზის პირველ (ინდივიდის დონე) და მეორე (სახელმწიფოს დონე) დონეზე არსებულ თეორიებს, ის ასევე ამბობს, რომ საგარეო პოლიტიკის ახსნა ანალიზში ამგვარი თეორიების ჩართვის გარეშე წარმოუდგენელი იქნება. „სახელმწიფოები იცვლებიან ფორმისა და მიზნების მიხედვით, ტექნოლოგიური პროგრესი სახეზეა, შეირაღება რადიკალურად იცვლება, ალიანსები იკვრება და იშლება. და მაინც, შედეგების მსგავსება აშკარაა, მიუხედავად იმ ფაქტორების ცვლილებებისა, რომლებიც ამ შედეგებს გვაძლევენ. ნათელია, რომ ეს სისტემური დონის ძალების დამსახურებაა.“

კვლევის მეთოდები - გამოვიყენეთ საერთაშორისო ურთიერთობებში აპრობირებული ძირითადი მეთოდები: ისტორიული, შედარებითი, დოკუმენტების შესწავლა და მათი შედარება,კონტენტ ანალიზი და ნარატიული ინტერვიუ ექსპერტებთან.

ნაშრომს გააჩნია **თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა** - კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას აღნიშნული პრობლემატიკის მსგავსი სამეცნიერო კვლევების განხორციელებისას და განზოგადებულ იქნას პრაქტიკაში, სახელმწიფო და საგარეო უწყებების, საქართველოში აკრედიტებული უცხო სახელმწიფოების საელჩოების, საზოგადოებრივი კვლევის ცენტრების მიერ, ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სალექციო კურსებში.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა შედგება შესავალი ნაწილისაგან, სამი თავის და ათი ქვეთავის, ასევე დასკვნითი ნაწილისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

თავი I. პროდასავლური პოლიტიკური არჩევანის ისტორიული წანამძღვრები და თეორიული ჩარჩო

1.1. რეალიზმი, საერთაშორისო ურთიერთობების საფუძველი

პოსტსაბჭოთა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებზე საუბრისას,გადავწყვიტეთ ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძვლად აგვერჩია საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ისეთი მნიშვნელოვანი თეორია,როგორიცაა რეალიზმი.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე დაყრდნობით,დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა შეიძლება ითქვას,რომ უცვლელი დარჩა,აღნიშნულიდან გამომდინარე რეალიზმის თეორია არ კარგავს თავის როლს საერთაშორისო ურთიერთობებში.

რელიზმის წარმომადგენლების ქენეთ უოლცის,ჰანს მორგენთაუს,მირშ მაიერის პრინციპებზე დაყრდნობით ყველა სახელმწიფოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ეროვნული ინტერესებია.სწორედ ამ ჭრილში ვითარდება საქართველო,რომლისთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეროვნული ინტერესები ისე,როგორც ამას რეალიზმის თეორია ამტკიცებს.

გამოვყოფთ ამ თეორიის რამდენიმე პრინციპს,რომელზე დაყრდნობითაც დავწერეთ სამაგისტრო ნაშრომი.

ჰანს მორგენთაუს მიერ შემუშავებული პრინციპებიდან ერთ-ერთი,გულისხმობს,რომ „ეროვნული ინტერესების კონცეფცია, საერთაშორისო პოლიტიკაში დამკვიდრების მთავარი საშუალებაა. ძალისა და ძლიერების ფენომენზე დაყრდნობით,ხდება ეროვნული ინტერესების განხორციელება,სწორედ ეს არის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი ეროვნული ინტერესებისა და დანარჩენი პოლიტიკური სფეროებისაგან.

› სახელმწიფო მმართველ,პირველ რიგში აზროვნებს და შემდგომ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე დგამს ქვეყნისათვის საჭირო ნაბიჯებს. პოლიტიკური რეალიზმის თვალსაზრისით კარგ საგარეო პოლიტიკად ითვლება რაციონალური საგარეო პოლიტიკა, რადგან იგი რისკს ამცირებს და ზრდის შედეგს.“[1]

› აღნიშნულიდან გამომდიანრე,ეროვნული ინტერესები დაკავშირებულია ძლიერებასთან და ძალაუფლებასთან. შესაბამისად, სუვერენული სახელმწიფო თავისი

ინტერესებით, ისტორიული პროცესის შედეგია. თუ სუვერენული სახელმწიფოები აღარ იარსებებს, მაშინ ეროვნული ინტერესებიც თავის აზრს დაკარგავს.[2]

› სახელმწიფოები განიხილება, როგორც უნიტარული აქტორები. შიდა პოლიტიკური განსხვავებებისდა მიუხედავად სახელმწიფო საერთაშორისო ასპარეზზე ერთიან აქტორად გვევლინება. მთავრობები საუბრობენ „ერთი ხმით“.[3]

აღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობით, საქართველოს არჩევანია პროდასავლური ვექტორი და სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს იმისათვის,რომ მოხვდეს დასავლური სახელმწიფოების ორბიტაში და საგარეო და საშინაო პოლიტიკაში ცდილობს ძირითადად იმოქმედოს დასავლური პოლიტიკური ღირებულებებიდან გამომდინარე.

1.2. პოსტსაბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და დასავლური პოლიტიკური არჩევანი

ევროკავშირი და საქართველო თანამშრომლობიდან ასოცირებამდე

პოსტ საბჭოთა საქართველოს საგარეო პოლიტიკისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წაროადგრნს ევროპის სამეზობლო პოლიტიკა. ამ პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირი საქართველოს განსაკუთრებულ ურთიერთობებს სთავაზობს, რაც საერთო ფასეულობების ერთგულებას ეყრდნობა, როგორიცაა დემოკრატია და ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და მდგრადი განვითარება.

ევროკავშირის წევრი ქვეყნები და მთლიანად ევროგაერთიანება დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

1993წელს,როდესაც ევროკავშირმა დახმარებას მიზანმიმართული სახე მისცა საქართველოში და მთლიანად სამხრეთ კავკასიაში,სწორედ ეს გახდა ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობის საწყისი ეტაპი. საქართველომ მნიშვნელოვანი სახის დახმარება მიიღო ევროგაერთიანებისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით. ევროკავშირმა დახმარების სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში გამოყო 224

მლნ. ევროს ოდენობის შეღავათიანი კრედიტი და თითქმის 400 მლნ. ევროს ოდენობით გრანტი.

იკვეთება დახმარების სამი ძირითადი მიმართულება: ჰუმანიტარული, ტექნიკური და ფინანსური დახმარება.1994წლიდან დაიწყო მოლაპარაკება შეთანხმების თაობაზე,რომელიც გულისხმობდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის საკითხს.

1995 წლის დეკემბერში საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ,საქართველო, ევროკავშირის მიერ გავრცელებული სავაჭრო პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემით (GSP) სარგებლობს.[4] ამ სისტემის არსი იყო, ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოებისაგან საქართველოს მიმართ მხარდაჭერის გაძლიერება. საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტები, რომელიც მათი თანამშრომლობის ისტორიას აღწერს,ნათლად გვიჩვენებს,თუ რაოდენ რთული გზა განვლო საქართველომ ასოცირების შეთანხმებამდე.

მათ შორის ორმხრივი თანამშრომლობის დოკუმენტი,1996 წლის 22 აპრილს, ლუქსემბურგში გაფორმდა(PCA).[5] აღნიშნული შეთანხმების ძირითადი მიზნები იყო სათანადო სტრუქტურებს შექმნა, მხარეებს შორის პოლიტიკური მოლაპარაკებებისათვის. ეკონომიკური განვითარებისა და დემოკრატიის გაძლიერების საკითხში საქართველოს მხარდაჭერა და სხვა. საქართველოს სწრაფვა ალიანსისაკენ მიზნად ისახავდა სხვადასხვა სფეროების განვითარებას. 2000 წელს დაიწყო მუშაობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის სტრატეგიაზე, რომელიც 2001წელს დასრულდა. ევროკავშირის ინტერესი საქართველოს მიმართ, მისი გეოგრაფიული მდებარეობითა და ქვეყანაში არსებული რესურსებით არის განპირობებული. აღნიშნული სახის ინტერესების დამადასტურებელ ფაქტად

---

[1] ნეკერი, რ. ს. (2006). H.J.Morgenthau. Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace. Published by: New York, Alfred A.Knopf. (1948). pp.4-14 (see also:http://www3.nd.edu/~cpence/eewt/Morgenthau2005.pdf). 4-14გვ.

[2] იქვე 4-14გვ.

[3] V&K, Realism: the State and Balance of Power. Images of International Relations . A. J. Taylor. The Struggle for Mastery in Europe 1848–1918. Published by. Oxford University Press. (1954): pp. 39-42 გვ.

[4] საქართველოსა და ევროკავშირის დაახლოების პერსპექტივები http://infocenter.gov.ge/1518-saqarthvelo-evrokavshiris-urthierthobebi-da-samomavlo-perspeqtivebi-politikis-dokumenti.htmlგვ.1

[5] იქვე გვ.1

შეგვიძლია მივიჩნიოთ 2003 წლის 7 ივლისს, სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისი სპეციალური წარმომადგენელის დანიშვნა.

საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა დროის მცირე მონაკვეთში მოეხდინა ქვეყნის განვითარება და გაეტარებინა დემოკრატიული რეფორმები. ამ პროცესს, რომელიც ქვეყნისათვის შეიძლება ითქვას,რომ გარდამტეხი იყო, დაემთხვა ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებას საქართველოსა და მისი მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვის შესახებ.

2005 წელს, საქართველოს მიეცა უფლება ესარგებლა ევროკავშირის პრეფერენციების განახლებული გენერალიზებული სისტემის შეღავათებით. ეს იყო იყო ევროკავშირის მიერ საქართველოს წახალისების მცდელობა, რაც განპირობებული იყო ქვეყნის დაუღალავი შრომითა და მის მიერ უმოკლეს დროში გატარებული გარკვეული სახის რეფორმებით.

2008 წელს მომხდარი რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა ევროკავშირის როლი საქართველოში. ევროკავშირის შუამავლობით, მიღწეულ იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის ე.წ. ექვსპუნქტიანი შეთანხმება. ევროკავშირმა, ასევე პროცესში ჩართო „ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის“ (ESDP) სამოქალაქო მისია – ევროკავშირის დამკვირვებელთა მისია (EUMM),[6] რომლის მოვალეობაც იყო, „გადაემოწმებინათ ყველა მონაწილე მხარის მიერ ევროკავშირის ეგიდით გაფორმებული, საქართველოსა და რუსეთის მიერ ხელმოწერილი 12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი და 2008 წლის 8 სექტემბრის „განსახორციელებელი ზომების“ შეთანხმებების პირობების შესრულება. ევროკავშირის პოლიტიკის განმსაზღვრელია ორკომპონენტიანი ხედვა - „არაღიარება“ და „ჩართულობა.“[7] ამ ორი პრინციპიდან პირველი (არაღიარება) არის რეაქცია რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცალმხრივ აღიარებაზე, რაც ევროკავშირის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერას ეფუძნება. მეორე (ჩართულობა) მოტივირებულია კონფლიქტის რეგიონების „დეიზოლაციისაკენ“ მისწრაფებით, რაც ასევე გულისხმობს რუსეთზე ცალმხრივი დამოკიდებულების შემცირებას, ალტერნატიული ღირებულებების გავრცელებას.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის გაღრმავება დაიწყო 2010 წელს.ამა წლის 15ივნისს,დაიწყო მოლაპარაკებები „ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე.“ აღნიშნული შეთანხმებით გათვალისწინებულია თანამშრომლობა შემდეგ სფეროებში: საგარეო უსაფრთხოება, ვაჭრობა, ეკონომიკური თანამშრომლობა, პოლიტიკური დიალოგი და რეფორმები, დარგობრივი თანამშრომლობა და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი,სავიზო

რეჟიმის ლიბერალიზაციის შესახებ შეთანხმების დაწყება. 2011 წლის 1 მარტს მოხდა აღნიშნული შეთანხმებების ძალაში შესვლა. 2013წლის 25 თებერვალს საქართველოს გადაეცა სავიზო რეჟიმის სამოქმედო გეგმა, რომელიც ევროკავშირსა და საქართველოს შორის მოლაპარაკებების წარმატებული ნაბიჯია.[8]

საქართველო და ევროკავშირი ორმხრივი ურთიერთობის ახალ პლატფორმაზე გადავიდა 2014 წლის ივლისში,როდესაც ხელი მოეწერა შეთანხმებას „ასოცირების შესახებ". აღნიშნულიდან გამომდინარე, ორ მხარეს შორის თანამშრომლობა მიზნად ისახავს პოლიტიკურ ასოცირებასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას. არსებული ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში მოქმედებს „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე"(DCETA).[9]

2017 წლის 8 მარტს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნდა ევროკავშირის საბჭოს N539/2001 რეგულაციის ცვლილება,[10] რომლის თანახმად, საქართველომ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მქონე ქვეყნების სიაში გადაინაცვლა და 28 მარტიდან ეს რეგულაცია ძალაში შევიდა, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოქალაქეებს მიენიჭათ უფლება ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში უვიზოდ გამგზავრებისა. 2018 წელს გამართული შეხვედრებების ფარგლებში განხილულ იქნა უსაფრთხოების საკითხი და მოხდა ერთობლივი პრეს-რელიზის მიღება.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული პრიორიტეტების შესრულება საქართველოს დემოკრატიული

---

[6] საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია http://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98.aspx 1გვ

[7] საქართველო-ევროკავსირის თანამშრომლობა . (n.d.). Retrieved from http://smr.gov.ge/Uploads/ b19642d1.pdf 1,2 გვ

[8] ნატროშვილი, ლ. (2013). საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი (შუალედური ანგარიში).https://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%20%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%95%E1%83%98%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98.pdf 4გვ

[9] საქართველო და ევროკავშირი 2014წლის ეკონომიკური ტენდენციები და თანამშრომლობა. (თ. გ.). მოპოვებული http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/41118/EU-Georgia_2014_-_9 1გვ

ინსტიტუტების შექმნასა და განვითარებაში შეუწყობს ხელს, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანია ქვეყნის დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისთვის.

ევროკავშირი ითვალისწინებს საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს და მიესალმება ქვეყნის მზადყოფნას, გააღრმავოს თანამშრომლობა ყველა იმ სფეროში, რომელიც ხელმოწერილი დოკუმენტებითაა გათვალისწინებული. ევროკავშირთან თანამშრომლობის ხარისხი დამოკიდებულია საერთო ღირებულებების ერთგულებაზე საქართველოს მხრიდან და ქვეყნის უნარზე განახორციელოს ევროკავშირთან ერთად დასახული პრიორიტეტები საერთაშორისო და ევროპული ნორმების შესაბამისად. ამ ურთიერთობების განვითარების ტემპი დამოკიდებული იმ კონკრეტულ წარმატებებზე, რომლებსაც ქვეყანა აღებული ვალდებულებების განხორციელების პროცესში მიაღწევს.

საქართველოს და ნატოს თანამშრომლობის ძირითადი ეტაპები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ,საქართველომ გადაწყვიტა ქვეყნის ინტეგრაციის საკმაოდ რთული და ხანგრძლივი გზა აერჩია. მიზნად დაისახა მსოფლიოში ერთ-ერთ ისეთ უძლიერეს ალიანსში გაწევრიანება როგორიცაა „ნატო“.

ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარ, მუდმივად არსებობს რეალური საფრთხე უსაფრთხოების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის რღვევის საკითხში. ალიანსის პოლიტიკიდან გამომდინარე, მისი წევრი ქვეყნები დაცული არიან მტრებისაგან, მის ერთ წევრ ქვეყანაზე თავდასხმა, ავტომატურად ნიშნავს მთლიან ალიანსთან ბრძოლას. გამომდინაარე ალიანსის პოლიტიკიდან, საქართველო მასში გაწევრიანებით ხედავს უსაფრთხოების გარანტს, რომელიც მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ აირჩია საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტულ საკითხად საქართველო-ნატოსურთიერთობა.

საქართველო ნატოს ურთიერთობების საფუძველის ჩაყრა უკავშირდება ნატოს ფარგლებში ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (NACC)შექმნას. “ნაქსის“ წევრობა საქართველოსათვის იყო შესაძლებლობა დიდი ნაბიჯი გადაედგა ნატოსთან დაახლოების პროცესში. აღნიშნული ორგანიზაციის წევრობით საქართველოს საშუალება ექნებოდა ალიანსის ფარგლებში სამხედრო-პოლიტიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ,დემოკრატიული ინსტიტუტებისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის

განვითარების გამოცდილება გაეზიარებინა და პრაქტიკაში დაენერგა,რაც უდაოთ დადებით როლს ითამაშებდა ქვეყნის განვითარების საკითხში საქართველოს სრული

გაწევრიანება ამ ორგანიზაციაში, მოხდა ნაქსის წევრ-სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების გამართულ შეხვედრაზე. მაღალი ალბათობით,ნატოსთან საქართველოს თანამშრომლობის დასაწყისად სწორედ ეს თარიღი შეიძლება ჩაითვალოს.

ალიანსში გამართულ კონსულტაციებს საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან ქვეყნისათვის ეს იყო კარგი შანსი, რომლის საშუალებითაც, დასავლეთის სამყაროს წარმომადგენლები მიიღებდნენ ობიექტურ ინფორმაციას აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით. რადგან აფხაზეთის საკითხი იმ პერიოდში ნატო-საქართველოს შორის გამართული კონსულტაციების ერთ-ერთ ცენტრალურ თემას წარმოადგენდა.[11]

ამ პერიოდში პირველად შედგა საქართველოში ნატოს წარმომადგენელთა ვიზიტები. აღნიშნული ვიზიტები მიზნად ისახავდა, რეგიონში არსებული სიტუაციის გაცნობასა და სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრას. ქვეყანას შესაძლებლობა მიეცა ჩართულიყო ნატო-ს პროგრამაში- ,,პარტნიორობა მშვიდობისთვის" (PfP-Partnership for Peace) რომლის ფარგლებშიც დაიწყო ინდივიდუალური თანამშრომლობის პროგრამების გაფორმება და განხორციელება 1994წელს დაიწყო.[12] აღნიშნული დოკუმენტის გაფორმების შემდეგ იწყება ნატო-საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობა.პროგრამის ფარგლებში საქართველომ მონაწილეობა მიიღო მნიშვნელოვან სამშვიდობო მისიებში,კოსოვოსა და ავღანეთის სამშვიდობო ძალებში.

---

[10] გზამკვლევი ევროკავშირის/შენგენის სივრცეში უვიზო მიმოსვლისთვის, გ. ე. (თ. გ.). საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. მოპოვებული http://mfa.gov.ge/visa-free-guide.aspx გვ.1

[11] ჯემალ ჯანაშია - საუკუნის გამოწვევა, თბილისი 2001წ. გვ.30-35

12 საქართველო ნატო-ს ურთიერთობები
http://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-NATO-%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.aspx გვ.1

ქვეყნისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი გახდა 1997წელს ნატოს გენერალური მდივნის ბ.ნ ჰავიერ სოლანას პირველი სტუმრობა საქართველოში. ვიზიტის ცენტრალური მოვლენა იყო ედუარდ შევარდნაძისა და ჰავიერ სოლანას შეხვედრა, რომელზეც განხილულ იქნა საქართველოსა და ნატოს შორის თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები, ასევე საქართველოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია და საქართველოს როლი და ადგილი საერთაშორისო პოლიტიკაში და ა.შ.[13]

ნატო-საქართველოს ურთიერთობის ერთ-ერთი საყურადღებო და მნიშვნელოვანი პროექტია "დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესი" (Planning and Review Process-PARP). აღნიშნულ პროექტში საქართველო 1999 წლიდან მონაწილეობს.რაც ხელს უწყობს მონაწილე ქვეყნების სამხედრო მართვის სისტემების ნატო-ს ძალებთან თავსებადობას. ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის ეს არის სფერო, სადაც მას სრული პასუხისმგებლობით შეუძლია მაღალი დონის გამოცდილების გაზიარება პატნიორი ქვეყნებისათვის.

2002 წელს, საქართველომ გაბედა და პირველად,ქალაქ პრაღაში გამართულ ნატო-ს სამიტზე გააკეთა ოფიციალური განცხადება ნატო-ში გაწევრიანების საკითხზე, რაც საქართველო-ნატო-ს ურთიერთობის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ფაქტია.

2004 წელს, საქართველო გახდა ალიანსის პირველი პარტნიორი სახელმწიფო, რომელთანაც ნატო-მ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (Individual Partnership Action Plan, IPAP) ფორმატში დაიწყო თანამშრომლობა.საქართველომ სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ალიანსის წინაშე აიღო კონკრეტული ვალდებულებები.[14] აღნიშნული დოკუმენტის ფარგლებში საქართველოს, მთავრობის ძალისხმევით უნდა განეხორციელებინა ქვეყნის დემოკრატიული რეფორმები. ამავე წელს, სტამბოლის სამიტზე მოკავშირეებმა, რეგიონული უსაფრთხოების დაცვის მიზნით გადაწყვიტეს კავკასიის რეგიონში დაენიშნათ წარმომადგენელი.

---

12 საქართველო ნატო-ს ურთიერთობები http://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-NATO-%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.aspx გვ.1

13 *ნიკა ჩიტაძე - " ნატო- ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი" - NATO/OTAN 2005 საქართველო ნატოში, თბილისი 2008წ. 334-336-367გვ

საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი იყო 2006 წელს ნიუ-იორკში გამართულ ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე ალიანსის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოსთან დაეწყო ,,ინტენსიური დიალოგი" (Intensified Dialogue, ID). ინტენსიური დიალოგის ფარგლებში, თანამშრომლობის პროცესში მიღწეული პროგრესის საფუძველზე, 2008 წელს ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ „საქართველო გახდება ნატო-ს წევრი ქვეყანა".[15]

აღნიშნული გადაწყვეტილებ იყო ერთგვარი პოლიტიკური მესიჯი ალიანსის მხრიდან, რაც შემდგომ სამიტებშიც დამტკიცდა. ერთ-ერთი მტკიცებულებაა, ალიანსის მხრიდან გამოვლენილი მხარდაჭერა 2008წლის აგვისტოს ომის დროს. ამავე წელს,ბრიუსელში გაიმართა ალიანსის წევრი სახელმწიფოების, საგარეო საქმეთა მინისტრების საგანგებო სხდომა,სადაც დაგმეს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მიმართ წარმოებული ქმედებები. 2010წელს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მიერ სამოქმედო გეგმის შემუშავება, შეგვიძლია ორმხრივი ურთიერთობის გაგრძელებად ჩავთვალოთ. აღნიშნული მოიცავდა ნატო-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობას(MC+GEO Work Plan).[16] აღსანიშნავი ფაქტია, საქართველოში მიმდინარე რეფორმებისა და ნატო-ში გაწევრიანების ხელშეწყობის მიზნით, ქ.თბილისში შექმნილი ნატოს სამოკავშირეო ოფისის გახსნა.

2014 წლის ნატო-ს უელსის სამიტზე, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP-Substantial NATO-Georgia Package) შემუშავების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება იყო ორმხრივი ურთიერთობის გაგრძელების შემდგომი ეტაპი.აღნიშნული პაკეტის ამოცანა იყო საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება და ნატოში გაწევრიანებისათვის მომზადება.[17]

2015 წელს შექმნილი ნატო-საქართველოს წრთვნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი(JTEC) ერთადერთია მთელი კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონში. რომელიც შეიქმნა ნატოს გენერალური მდივნის, იენ სტოლტენბერგის ვიზიტის ფარგლებში, ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისის" ტერიტორიზე.

ნატო-საქართველოს ურთიერთობის მნიშვნელოვან და ქვეყნისათვის სასარგებლო ინიციატივად, შესაძლებელია მივიჩნიოთ საქართველოში 2016 წელს ნატოს

---

[14] ნატო-საქართველოს ურთიერთობები https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98 გვ.1

[15] საქართველო და ნატო/მნიშვნელოვანი თარიღები http://infocenter.gov.ge/nato-important-dates/#1 გვ.1

[16] საქართველო ნატოს ურთიერთობები https://ninishoshiashvili.wordpress.com/2014/12/25/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D-%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0/ გვ.1

მიერ გახსნილი თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა(DIB).[18] აღნიშნული ინიციატივის მიზანი იყო ეროვნულ,რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე წვერებისათვის საუკეთესო გამოცდილებებისა და პრაქტიკის გაზიარება თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში.

2018 წლის 11-12 ივლისს პირველად საქართველოს თემატიკაზე გაიმართა ნატო-ს წევრი ქვეყნების სახელმწიფო მეთაურების შეხვედრა საქართველოსა და უკრაინასთან.[19] მიღებულ იქნა დეკლარაცია, რომლის თანახმადაც ალიანსი ურყევ მხარდაჭერას უცხადებს ქვეყანას დემოკრატიული განვითარების,ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის საკითხებს.სამიტის ფარგლებში საქართველომ ასევე მონაწილეობა მიიღო „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ შეხვედრასა და ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ კოალიციის წევრების შეხვედრაში.[20]

მიუხედავად იმისა,რომ ინტეგრაციის პროცესს აფერხებს ოკუპირებული ტერიტორიები,მაინც უნდა აღინიშნოს,რომ არსებული და მიმდინარე აქტივობები ცხადჰყოფს,რომ ალიანსში ინტეგრაციის პროცესი არ შეჩერებულა.

1.3 საქართველო როგორც აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოსტსაბჭოთა სივრცე,ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატო-ს წევრი ქვეყნების ყურადღების ცენტრი გახდა,

---

[17] ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი https://mod.gov.ge/ge/page/65/arsebiti-paketi გვ.1

[18] საქართველოში თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა https://mod.gov.ge/ge/news/read/5114/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98%20%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%A1%E1%83%9C%E1%83%90 გვ.1

[19] თავისუფლება სწრაფი განვითარება კეთილდღეობა http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/101755/07-2.248 გვ.1

[20] ნატოს სამიტები და მინისტერიალები http://mfa.gov.ge/cmsctx/culture/en-US/-/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-NATO-%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.aspx?lang=ka-GE გვ.1

[21] აშშ-საქართველო ღირებულებებზე დაფუძნებული ურთიერთობა https://www.radiotavisupleba.ge/a/usa-georgia/24585142.html 05/19/2012 გვ.1

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში საგარეო პოლიტიკასა და სტრატეგიულ ინტერესებს ხელის შეწყობის მიზნით. საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 23 აპრილს.[21] ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და მხარი დაუჭირა ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას.

1990-იან წლებში პოსტსაბჭოთა სივრცეში განხორციელებულმა ცვლილებებმა აშშ-ს ხელმძღვანელობას მისცა საბაბი, პრაქტიკაში გამოეყენებინა პრეზიდენტის რ. რეიგანის დოქტრინა მესამე მსოფლიო ქვეყნებში დემოკრატიული მოძრაობის მხარდასაჭერად და დაიწყო ბრძოლა რუსეთის გავლენის სფეროს წინააღმდეგ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში.ამავე დროს, ვაშინგტონის ინტერესი კასპიის რეგიონის სახელმწიფოებში, განსაკუთრებით ენერგორესურსების მფლობელების მიმართ გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ არსებობს მსგავსი სახის ენერგორესურსები, ამერიკის შეერთებული შტატების დაინტერესებას იწვევს გეოსტრატეგიული პოზიცია და მისი მონაწილეობა გლობალური პროექტებში,კასპიის ნავთობისა და გაზის ევროპული ბაზრების მიწოდების მარშრუტების დივერსიფიკაციისთვის, რუსეთის გვერდის ავლით. მას შემდეგ, რაც საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები, შეერთებულმა შტატებმა ხელი შეუწყო მას პოლიტიკურ, ფინანსურ და სამხედრო სფეროებში, ისევე, როგორც ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში.

1994 წლის მარტში სახელმწიფო დეპარტამენტში გაკეთდა განცხადება იმის შესახებ, რომ ყურადღება უნდა მიექცეს რუსეთის საზღვრებს, რადგან მათ აქვთ საკუთარი ლეგიტიმური ინტერესები, რომლის იგნორირება შეერთებულ შტატებსა და დასავლეთს არ შეუძლიათ. ამ თვალსაზრისით პენტაგონი დაინტერესდა საქართველოს ალიანსში მოზიდვის საკითხით არა მხოლოდ რუსეთის სამხრეთ საზღვრების კონტროლისათვის და კასპიის მხრიდან ენერგორესურსების ნაკადის კონტროლისათვის, არამედ ირანთან დაგეგმილი ფართომასშტაბიანი ომისათვის. საქართველოს ტერიტორია შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც პლატფორმა აშშ-სა და ნატოს აეროდრომებისა და ლოგისტიკის სამსახურების განთავსებისთვის, რაც საშუალებას მისცემს თანამედროვე გეოპოლიტიკურ თამაშებში სრული წესების დაცვით მონაწილეობას და მის შესრულებას.

1997 წლის აპრილში სახელმწიფო დეპარტამენტმა წარმოადგინა კასპიის რეგიონში ამერიკული პოლიტიკის პრობლემები. იმავე წლის ოქტომბერში რესპუბლიკელმა სენატორმა ს. ბრაუნკმა შეიმუშავა "აბრეშუმის გზის სტრატეგია".[22]

სინამდვილეში ეს იყო ამერიკული პოლიტიკის ახალი ეტაპის დასაწყისი სამხრეთ კავკასიაში, რომელსაც ამერიკელები სასიცოცხლო ინტერესების ზონად აცხადებდნენ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აქტიურად ითანამშრომლა ამიერკავკასიის ქვეყნების მთავრობებთან, მათ ეკონომიკაში ინვესტირებასა და პარტნიორობა მშვიდობისათვის სამხედრო თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში (1994წ.) ერთობლივი სამხედრო წვრთნების ჩატარებით. საქართველოში აქტიურად მიიღეს შეიარაღებული ძალების გაუმჯობესების ამერიკული პროგრამები. 2003 წლის 21 მარტს რატიფიცირებული იქნა აშშ-ის თავდაცვის თანამშრომლობის შეთანხმება.[23]

2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი გახდა მიხეილ სააკაშვილი. უნდა აღინიშნოს, რომ ის რაც 2003წელს მოხდა საქართველოში, ძნელად უწოდებენ ამ ფაქტს "რევოლუციას". ახალმა მთავრობამ აშშ-სა და ნატოსთან თანამშრომლობა სახელმწიფოს მოსახლეობას დაუსახა, როგორც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და შიდა ეთნიკური კონფლიქტების მოგვარების გზა, ასევე, როგორც რეგიონის სტაბილურობის გარანტია და სახელმწიფო ბიუჯეტის დამატებითი ფინანსური წვლილის წყარო.

საქართველომ დაიწყო ნატო-ში გაწევრიანების ახალი გზების ძიება. ქართველმა სამხედროებმა მონაწილეობა მიიღეს ერაყში მიმდინარე სამშვიდობო მისიაში, ხოლო 2004 წელს საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა, ავღანეთში საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების (ISAF) ფარგლებში ალიანსთან თანამშრომლობა დაიწყეს.[24] შედეგად, ნატო-სა და საქართველოს შორის გაფორმდა სატრანზიტო შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც ალიანსის ქვეყნებსა და ISAF- ის მისიაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიის გამოყენება ავღანეთში ტვირთის გადასატანად.

შეიარაღებული ძალების განვითარების საკითხში საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ფინანსური და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა ეჭვგარეშეა საკუთარი ინტერესების გამო, კერძოდ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობის მარშრუტის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მისი გეოპოლიტიკური მისწრაფებების განსახორციელების ხელშეწყობის მიზნით,შეერთებული შტატები ყველა შესაძლო ძალისხმევით ცდილობს, რომ ეტაპობრივად შეასუსტოს საქართველოში რუსეთის პოზიციები.

2004 წლის დეკემბერში თბილისში ვიზიტის დროს, აშშ-ს თავდაცვის მდივანმა დ. რამსფელდმა საჯაროდ მოსთხოვა მოსკოვს დაეხურა ორი რუსული ბაზა და ბაზების გაყვანის უზრუნველსაყოფად ფინანსური დახმარებაც კი შესთავაზა.[25]თუმცა, აშკარაა,

რომ ვაშინგტონმა რუსეთთან ზეწოლის საკითხზე უკიდურესად ფრთხილ პოლიტიკას უპასუხა რუსეთთან ღია კონფრონტაციაში შესვლასთან დაკავშირებით.

2007 წლის პროცენტული მეჩვენებლებით,საქართველო ნატოს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა, მეორე კი კოალიციურ ძალებში. ეს იმას ნიშნავდა, რომ შეიარაღებული ძალების ერთი მეხუთედი საზღვრის გარეთ იმყოფებოდა . რამდენიმე წელი, ISAF- ის მისიის ფარგლებში ქართული ბატალიონები ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში ყველაზე ცხელ წერტილში იბრძოდნენ. ვაშინგტონი, რომელიც თბილისს ფინანსური დახმარების შთამბეჭდავ პაკეტს სთავაზობდა, გახდა საქართველოს უმსხვილესი და მისი დასავლელი მოკავშირეების ყველაზე გავლენიანი უცხოელი დონორი. 2008 წლის 5 იანვარს, საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად ჩატარდა რეფერენდუმი, რომელშიც ქართველ ამომრჩეველთა 77%-მა მხარი დაუჭირა ალიანსში გაწევრიანებას.[26] პრეზიდენტმა სააკაშვილმა წერილი გაუგზავნა ნატო-ს გენერალურ მდივანს ჯ. ჯ. სუფფერს, სადაც ის გამოთქვამს მზადყოფნას ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის შესასრულებლების საკითხზე.

2008 წლის აპრილში ბუქარესტის სამიტზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ძალისხმევა არ დაიშურა,რომ დაერწმუნებინა ნატოს მოკავშირეები საქართველოსა და უკრაინისთვის MAP-ში გაწევრიანების აუცილებლობის საკითხზე.[27]მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ და უკრაინამ ვერ მიიღეს MAP-ი,ბუქარესტში მათ განუმარტეს, რომ საჭიროა გარკვეული დროით მოცდა. თავის მხრივ, რუსეთი მიიჩნევს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება საფრთხეს უქმნის სამხრეთ საზღვრებს და მის სტრატეგიულ ინტერესებს.

2008 წლის აგვისტოში ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტში გადაიზარდა, აშშ-ში რუსეთის ქმედებებთან მიმართებაში უკმაყოფილების ახალი ტალღა გაზარდა. ამერიკასა და რუსეთს შორის არსებული წინააღმდეგობები კრიტიკულ წერტილს მიუახლოვდა. პოსტსაბჭოთა სივრცეში ეს იყო პირველი არაპირდაპირი შეტაკება რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის. "აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებს ვერ

---

[24] ნატო-საქართველოს ურთიერთობების ქრონიკები http://www.tabula.ge/ge/story/87344-nato-saqartvelos-urtiertobebis-qronikebi გვ.1

[25] თანამშრომლობა აშშსთან https://mod.gov.ge/ge/page/119/tanamshromloba-ashsh-stan გვ.1

[26] საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%96%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%9D_%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_(2008) გვ.1

[27] გაწევრიანების ინსტრუმენტები http://infocenter.gov.ge/nato-joining-tools/ გვ.1

აკონრტოლებს საქართველოს მთავრობა და აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ შეფასებულია,როგორც რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ნაწილი."[28]

გენერალურმა მდივანმა ჯ. ჯ. ჰეფერმა დაადანაშაულა რუსეთი "არაპროპორციული სამხედრო ძალის გამოყენების საკითხში და მოუწოდა რუსეთსა და საქართველოს დაუყოვნებლივ შეთანხმებულიყვნენ ცეცხლის შეწყვეტაზე და საქართველოს მიერ აღდგენილიყო კონტროლი "მის ცალკეულ ავტონომიებზე."

2008 წლის სექტემბრის დასაწყისში თბილისში ჩამოვიდა ნატოს ექსპერტთა ჯგუფი. შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ თანამშრომლობის გაგრძელებაზე საქართველოსა და ალიანსს შორის "ინტენსიური პარტნიორობის" პროგრამის ფარგლებში.[29]2008 წლის 15 სექტემბერს თბილისში გაიხსნა ნატო-საქართველოს პირველი ასამბლეა, სადაც შეიქმნა კომისია, რომელიც უხელმძღვანელებდა საქართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურის აღდგენას და ნატო-ში გაწევრიანების პროცესს.[30]

2009 წლის 9 იანვარს ვაშინგტონში ხელი მოეწერა საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის "სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიას". დოკუმენტი განსაზღვრავს თანამშრომლობის სფეროებსა და პარტნიორობის გაფართოებას თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში, ეკონომიკაზე, ენერგეტიკულ, დემოკრატიულ რეფორმებზე, ასევე დიპლომატიისა და კულტურის მიმართულებით. ქარტიის თანახმად, შეერთებული შტატები გეგმავს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების განახლებას, პრიორიტეტების ზოგადი სისტემის ხელმისაწვდომობის გაფართოებას და ასევე ქარტიის ფარგლებში განიხილავს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების დადების საკითხს.

2009 წლის იანვარში ბ-ნი ბარაკ ობამას არჩევის შემდეგ, მისი ადმინისტრაცია რუსეთთან ურთიერთობაში "გადატვირთვის" პოლიტიკის ინიციატივით გამოვიდა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან ურთიერთობების განვითარება შეწყდა. ამავდროულად, პოსტსაბჭოთა სივრცის შესახებ რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის დაპირისპირების სიმკვეთრე შემცირდა. ასევე შემცირდა საქართველოსა და უკრაინასთან თანამშრომლობის ინტენსივობა. ამავდროულად,ჩამოყალიბდა ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას სტრატეგია

ამერიკული პოზიციის თანმიმდევრული შენარჩუნების შესახებ. პოსტსაბჭოთა სივრცეში ამერიკული გავლენის განმტკიცების ახალი პრინციპები უფრო შეესაბამება "რბილი ძალის" გამოყენების ლოგიკას, ანუ ყურადღება გამახვილდა ჰუმანიტარულ და

დიპლომატიურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს ამერიკული იდეებისა და დამოკიდებულებების განვითარებას. ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში საქართველოსთან ურთიერთობამ დიდი ცვლილება განიცადა. თეთრ სახლში ახალი ადმინისტრაცია აკრიტიკებდა სააკაშვილს ავტორიტარიზმისა და ოპოზიციაზე ზეწოლის საკითხში. ამავე დროს, მან დაადასტურა, რომ ის გააგრძელებს წინააღმდეგობის გაწევას პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის ქმედებების განეიტრალების საკითხში. 2014 წლის 24 ნოემბერს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა ჯ. სტოლტენბერგმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული მხარდაჭერა საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრის ფარგლებში.

ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯ. აპატურაიმ სიტყვით გამოსვლისას პირველ სხდომაზე აღნიშნა, მიუხედავად იმისა რომ, საქართველოს აქვს ყველა საჭირო ინსტრუმენტი ნატოში გაწევრიანებისთვის, ალიანსი შიშობს საქართველოსთვის ისეთი სიგნალების გაგზავნას რომელიც პროვოცირებას გაუწევს რუსეთს და ამის საფუძველზე საქართველო უკიდურესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

ამჟამად, აშშ-ის ხელმძღვანელობა განაგრძობს აქტიურ სამხედრო თანამშრომლობას საქართველოსთან. ვაშინგტონის დახმარებით, მიმდინარეობს საქართველოს საჰაერო ძალების და საზღვაო ძალების აღდგენისა და მოდერნიზაციის პროცესი. საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მშენებლობის მახასიათებელია მისი რეგიონალური ხასიათის გაღრმავება, კერძოდ, მეზობელი ქვეყნების ჯარებთან თანამშრომლობის გაღრმავება და მიზნად ისახავს ნატო-ს სტანდარტების შესაბამისად მოქმედი თანამედროვე, ეფექტური და მობილური არმიის შექმნას. აშშ მხარს უჭერს საქართველოს საზღვრის დაცვის სამსახურის შექმნას და საქართველოს სასაზღვრო ჯარების ტექნიკურად აღჭურვას. აშშ-მ სასაზღვრო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და საზღვრების დაცვისთვის 72 მილიონი დოლარი გამოყო.

2015წლის 20 ნოემბერს, საქართველოს პრეზიდენტმა გ. მარგველაშვილმა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ ბ-ნმა ბლინკმა თბილისში შეხვედრა გამართეს. საუბარი ეხებოდა ქვეყანაში მიმდინარე

დემოკრატიულ რეფორმებს, არჩევნების მომზადების პროცესს, ასევე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას. აშშ-ს დახმარების პროგრამებში საქართველოსთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენერგეტიკის მიღება. ამერიკა ასევე უზრუნველყოფს საქართველოს მნიშვნელოვან ფინანსურ მხარდაჭერას. საქართველოში აშშ-ს დახმარების გავრცელება აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ არის უზრუნველყოფილი. ამ ფონდების გამოყენების ძირითადი მიზნებია სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბება და სხვადასხვა სახის ჰუმანიტარული დახმარება.

2016 წლის 6 ივლისს, აშშ-სა და საქართველოს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის გაღრმავების შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა.[31] აღნიშნულის საფუძველზე, ხელი მოეწერა თანამშრომლობას უსაფრთხოების სფეროში სამი წლის ვადით.ხელმოწერილი დოკუმენტით აშშ-საქართველოს თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადავიდა, რაც აისახა ორმხრივი დაგეგმვის პროცესების გაუმჯობესებაში.

2017 წლის ოქტომბრის აშშ-საქართველოს ორმხრივი თავდაცვის კონსულტაციების ფარგლებში 2018 წელი დასახელდა ლოგისტიკის წლად, მრავალწლიანი ლოგისტიკის ინიციატივების პრიორიტიზირების მიზნით.[32] ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ მიუხედავად იმისა, თუ რომელი ძალა მართავს საქართველოს, ან რომელი პარტია გაიმარჯვებს, ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველო ეროვნული უსაფრთხოების ზონად მიიჩნევს.

აშშ-ს კონგრესში ერთ-ერთ გამოსვლაში გაჟღერდა, "საქართველოში, ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს საფრთხე ემუქრება,რადგან, რეგიონალური და შიდა არასტაბილურობა გამოიწვევს დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრის ევოლუციას.ხოლო სტაბილური და დამოუკიდებელი საქართველო კი დაეხმარება შეამციროს შეიარაღებული კონფლიქტის ალბათობა რუსეთს, თურქეთსა და ირანს შორის, ასევე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასა და საერთაშორისო დანაშაულის აღმოფხვრის სახითხებში."

დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სამხედრო სტრატეგიულ პოზიციას, რომელიც ასრულებს კასპიის რეგიონში ნავთობისა და გაზის წარმოების განვითარების პლაცდარმის როლს. ლიბერალური ეკონომიკური რეჟიმის ჩამოყალიბება ამერიკელი

---

[31] 2017წლის ანგარიში http://www.mfa.gov.ge/getattachment/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/asocirebis-dgis-cesrigis-angarishebi/AA-NAP-2017-Short.pdf.aspx გვ.24

[32] 2018წ. ლოგისტიკის წლად გამოცხადდა https://mod.gov.ge/ge/news/read/6364/2018-weli-logistikis-wlad-gamocxadda გვ.1

ექსპერტების აზრით, ამ რეგიონებთან თავისუფალი ვაჭრობისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და მთავარი მიზეზია, მაგრამ მაინც ძირითადი პრიორიტეტები რის გამოც საქართველო პროდასავლური ვექტორს ირჩევს, ეს არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, საერთაშორისო სოციალურ-ეკონომიკურ პროექტებში მონაწილეობისა და ეკონომიკური სტაგნაციის დაძლევის შესაძლებლობი.

მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა და ნატომ თავიდანვე მხარი დაუჭირეს საქართველოს საზღვრების სუვერენიტეტსა და ხელშეუხებლობას, დასავლური საზოგადოების ინტეგრაცია თბილისისთვის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტი გახდება. დღევანდელი მმართველი კოალიცია "ქართული ოცნება", მიუხედავად იმისა, რომ "ნაციონალური მოძრაობის" მთავარი ოპოზიციური პარტიაა, აგრძელებს არჩევანს ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანებისკენ, რაც დოკუმენტშია დაფიქსირებული. ეს მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში ძალაუფლების ცვლილების მიუხედავად, ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობა გრძელდება, ისევე როგორც აშშ-ს მიერ უკვე განხორციელებული საინვესტიციო პროექტები.

ორი ათეული წელია, რაც რეგიონში მთავარი სტრატეგიული პარტნიორია.საქართველოს აქვს აშშ-ს სრული მხარდაჭერა საერთაშორისო მასშტაბით, მათშორის საერთაშორისო ორგანიზაციებში, სადაც აშშ მტკიცედ უჭერს მხარს ჩვენს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ყველა პრაქტიკული ინსტრუმეტი თუ პროგრამა, რომელიც ხორციელდება საქართველოს თავდაცვისუნარუანობის განსამტკიცებლად, მხარდაჭერილია აშშ-ს მიერ.

თავი.II საქართველოს ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან

2.1.რუსეთის პოლიტიკა და მისი ინტერესები საქართველოში

პოსტსაბჭოთა სივრცეში, გარდა აღმოსავლეთ ბალტიისპირა ქვეყნებისა, ძნელად თუ მოიძებნება სახელმწიფო, რომელიც ისე ეწინააღმდეგება რუსულ ჰეგემონიას, როგორც - საქართველო. რუსეთის ფედერაცია 1991 წლიდან მოყოლებული საქართველოზე ზეგავლენის ყველანაირ (განსაკუთრებით კი სადაზვერვო) ბერკეტს იყენებდა, რათა ეს ქვეყანა თავის მორჩილ ხელქვეითად ექცია. გარკვეულ წარმატებაზე შეგვიძლია ვისაუბროთ, რადგან დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს ტერიტორიის ოცი პროცენტის ოკუპაცია გვაქვს სახეზე.

ბოლო წლებში რუსეთის ფედერაციის აგრესიულმა მოქმედებებმა ჯერ უკრაინასა და შემდგომ სირიაში ნათლად დაგვანახა, რომ ეს ქვეყანა საკმაოდ ეფექტიანად იყენებს საკუთარ სამხედრო-პოლიტიკურ შესაძლებლობებს, რაც ამ სახელმწიფოს პოლიტიკური და სამხედრო დაზვერვის აქტიურობით მიიღწევა.

განსაკუთრებით აქტიური და წარმატებულია რუსული სადაზვერვო პროპაგანდა, რომელშიც რუსულ სპეცსამსახურებთან და მედიასაშუალებებთან ერთად ჩართულია არაერთი სახელმწიფო ინსტიტუტი, რუსი თუ უცხოელი ექსპერტი.

რუსეთის ფედერაციის ყველა ზემოხსენებული მოქმედება ერთ მთავარ მიზანს - მსოფლიო ასპარეზზე გლობალური მოთამაშის რანგში დაბრუნებას- ემსახურება. ამ მიზნის მიღწევა სამეზობლოში საკუთარი ექსკლუზიური გავლენის აღდგენის გარეშე მოსკოვს არ წარმოუდგენია. სწორედ ეს უნდა მივიჩნიოთ რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების სათავედ საქართველოსთვის, როგორც სუვერენული სახელმწიფოსთვის, რომელსაც ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის არჩევანი აქვს გაკეთებული.

მაშინ, როდესაც რუსეთის ფედერაცია ლამის მთელი მსოფლიოს მასშტაბით ძალზე აქტიურად მოქმედებს საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად, ბუნებრივია, საქართველო უსაფრთხოდ ვერ იგრძნობს თავს. ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია სწორად შეფასდეს, თუ რა კონკრეტული საფრთხეები არსებობს რუსეთის მხრიდან და რამდენად ეფექტიანია საქართველოს უსაფრთხოების სისტემა ამ საფრთხეებთან გამკლავების თვალსაზრისით. ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურების გაძლიერება და საზოგადოებრივი მხარდაჭერის ხარისხის ამაღლება. ეს საკითხი განსაკუთრებით საყურადღებოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოზე ბევრად უფრო ძლიერ და განვითარებულ ქვეყნებსაც კი უჭირთ რუსეთის ფედერაციიდან მომდინარე საფრთხეებთან გამკლავება.

რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო ამოცანები ამიერკავკასიის რეგიონში ერთგვარად განსხვავდება სომხეთისა და აზერბაიჯანის ლოკალური მიზნებისაგან მეზობელი ქვეყნების მიმართ. სადაზვერვო საქმიანობის პარაქტიკა აჩვენებს რომ, რაც უფრო ახლო და მეგობრული ურთიერთობა მყარდება ქვეყნებს შორის, მით უფრო დახვეწილ ფორმას იღებს სადაზვერვო მოქმედებები. ბუნებრივია, სუპერსახელმწიფოთა და „მცირე“ ქვეყნების ნაციონალური ინტერესები განსხვავდება ერთმანეთისაგან.

პირველს თუ გლობალური მიზნები აქვთ დასახული, მეორე კატეგორია ძირითადად რეგიონალური მასშტაბით შემოიფარგლებიან.

რუსეთის ფედერაციის დაზვერვის ძირითად სტრატეგიად შესაძლოა ჩავთვალოთ რუსეთის ფედერაციის გავლენის სფეროს შენარჩუნება ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებსა და მეზობელ, ყოფილ სოციალისტურ სახელმწიფოებზე (ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნები, მონღოლეთი, თანაბარუფლებიანი პარტნიორობა-ჩინეთთან).

რუსეთის ძირითადი ამოცანები საქართველოსთან მიმართებაში

საქართველო, ზემოაღნიშნულ კონტექსტში, რუსეთის ფედერაციისთვის ერთ ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ სუბიექტს წარმოადგენს. საქართველოს, რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიით, ლოგიკურად, არამხოლოდ კოტინენტური შელფის ბუფერულ ზონად, არამედ კასპიის ზღვის გეოპოლიტიკურ ფარგლებში განიხილავს. საქართველო წარმოადგენს კასპიის ზღვის ენერგეტიკული რესურსის დასავლეთით ტრანსპორტირების რუსეთის ალტერნატიულ გზას.

რუსეთის ფედერაციის გვერდის ავლით პროექტის განხორციელება არამარტო ეკონომიკურად აზარალებს რუსეთის ფედერაციას, არამედ უკარგავს მონოპოლიურ როლს ენერგეტიკულ ბაზარზე და, რაც მთავარია, სუსტდება დასავლეთზე ზეწოლის/შანტაჟირების პოლიტიკური ბერკეტები. შესაბამისად რუსეთის ფედერაციის მხრიდან მოსალოდნელია პოლიტიკური და ეკონომიკური დაზვერვის გააქტიურება საქართველოსთან მიმართებაში, რათა მან საკუთარი სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები დაიცვას.

რუსეთის ფედერაციას სჭირდება ბუფერული ზონა ნატოს წევრ ქვეყანა-თურქეთთან. სადღეისოდ რუსეთ-თურქეთს შორის დამთბარი ურთიერთობა არ იძლევა სამომავლოდ მისი შენარჩუნების გარანტიას (თურქეთის მსგავსი ქვეყნების საგარეო პოლიტიკა მეტადაა დამოკიდებული ლიდერის გადაწყვეტილებებზე, ვიდრე დასავლური ტიპის ქვეყნების პოლიტიკა). თუმც სადაზვერვო ზეგავლენისა და შეღწევადობისათვის მას გააჩნია ბუფერული ტერიტორიები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

რუსეთის ფედერაციის სასიცოცხლო ინტერესებშია შავი ზღვის აკვატორიის მაქსიმალური კონტროლი, რომლის აღმოსავლეთი ნაწილი საქართველოს ტერიტორიულ წყლებს წარმოადგენს. ამასთან ერთად, კავკასიის რეგიონში მდგომარეობის გასამყარებლად სჭირდება სომხეთთან დამაკავშირებელი მარშრუტის გარანტირებულად ექსპლუატაცია. ამ ამოცანების გადასაჭრელად, მინიმალურ პირობას წარმოადგენს

დასავლეთის სამხედრო ინსტიტუციების გაფართოების დამუხრუჭება და მათი ეკონომიკურ-კულტურული, იდეოლოგიური „ექსპანსიის“ შეზღუდვა ზემოაღნიშნულ რეგიონებში. სწორედ ამ ამოცანების გადასაჭრელად რუსეთის ფედერაციისათვის მნიშვნელოვანია აქტიური სადაზვერვო ქმედებები საქართველოსთან მიმართებაში.

შესაბამისად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მინიშნებული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული მიზნების განხორციელებაზე ხელშეშლისათვის, საქართველომ აქტიური ღონისძიებები განახორციელოს სადაზვერვო მიმართულების მნიშვნელოვან , პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ და პროპაგანდისტულ ფრონტზე.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო დაზვერვის ელემენტები

სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტისას, რუსეთის ფედერაცია სადაზვერვო აქტიურობის ფონზე იყენებდა ისეთ მეთოდოლოგიას, როგორიცაა ტერორიზმი. 2004-2005წ. ტერორისტული აქტები პოლიციის შენობასა და ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაზე, ტერაქტი ქ. გორის პოლიციის შენობაზე, რომელსაც მსხვეპლი მოჰყვა, ხოლო ტერორისტულ აქტებს ელექტროგადამცემ ხაზებზე-„ქართლი 2“ და „ლიახვი“, კასპის ნავთობის ინფრასტრუქტურაზე მნიშვნელოვან ფინანსური ზიანი მოჰყვა.[33]

საქართველოსადმი, რუსეთის სადაზვერვო აქტივობებზე მიანიშნებს 2006 წელს სადაზვერვო სამმართველოს (ГРУ) 4 ოფიცერისა და საქართველოს 11 მოქალაქის ჯაშუშობის ბრალდებით დაკავების ფაქტი.[34] ამასთან ერთად სადაზვერვო ხასიათის ქმედებების ნიშნებს ატარებს რუსეთის ფედერაციიდან, არალეგალურად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მასობრივად გამოძევება,აგრეთვე ამავე პერიოდში ეკონომიკური ემბარგოს განხორციელება ქართულ პროდუქციაზე, განსაკუთრებით ღვინო-მასალებზე, რაც საქართველოს ექსპორტის მნიშვნელოვან ხვედრით წილს წარმოადგენდა რუსულ ბაზარზე. განხორციელდა სავიზო რეჟიმის დაწესება საქართველოს მოქალაქეებისათვის, შეიზღუდა ფულადი გზავნილების გადმორიცხვა რუსეთის ფედერაციიდან, რაც პოლიტიკურ-ეკონომიკური დაზვერვის ნიშნებს შეიცავდა. სადაზვერვო ქმედებების დამაგვირგვინებელ აქტად კი პირდაპირ ინტერვენციად უნდა მივიჩნიოთ (2008 წ.), რასაც საქართველოს ტერიტორიის მეხუთედის დაკარგვა მოჰყვა. რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში გატარებულ პოლიტიკას მოჰყვა დასავლეთის პოლიტიკური წრეების მხრიდან გარკვეული პროტესტი, რამაც მას ქვეყნის სრული ოკუპაციის საშუალება არ მისცა. ამასთან ეს საპროტესტო ტალღა არასაკმარისი აღმოჩნდა რუსეთის ძალისმიერი კურსის შესაცვლელად.

საერთაშორისო პოლიტიკური წრეების შედარებით ინერტულობით გათამამებული რუსეთის ფედერაცია არ მოერიდა მის მიერ წინასწარშემუშავებული, მაღალი ალბათობით სადაზვერვო გეგმების განხორციელებას და 2014 წელს უკვე უკრაინაში ყირიმის ანექსია მოახდინა.[35]

განვითარებული მოვლენების ანალიზი აჩვენებს, რომ დღევანდელ რუსეთის ფედერაციის სამხედრო სფეროში განხორციელებული ღონისძიებები სავარაუდოდ მიმართული იქნება მოწინააღმდეგე სახელმწიფოების შეიარარებული ძალების დასუსტებისაკენ (მოწინავე სამხედრო ტექნოლოგიების შესყიდვის ჩაშლის მცდელობა; შეიარაღებულ ძალებში პრორუსული კადრების ჩანერგვა; სომხეთთან,აზერბაიჯანთან და საქართველოსთან სამხედრო ესკალაციის გამოწვევა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო დაპირისპირების პროვოცირება; რუსეთის ფედერაციისთვის არასასურველი სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიაზე განლაგების ბლოკირება). ზემოაღნიშნული სამხედრო ხასიათის ღონისძიებები კომპლექსურად არის მიბმული საქართველოში ეკონომიკურ და პროპაგანდისტულ ძირგამომთხრელ საქმიანობასთან.

რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური დაზვერვის ელემენტები

საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის ფედერაციამ ეკონომიკური ზეწოლის საშუალებები მაქსიმალურად და ხისტად გამოიყენა. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2004 წლიდან ათწლეულის დასასრულამდე პერიოდი. საქართველოს წინააღმდეგ ენერგეტიკულ (რუსული ზეგავლენა საქართველოს სტრატეგიულ ობიექტებზე), სასოფლო-სამეურნეო (ხილ-ბოსტნეულის, ღვინის, მინერალური წყლების იმპორტის აკრძალვა რუსეთის ფედერაციაში) და სხვა სექტორში გატარებულმა ღონისძიებებმა სერიოზულად დააზარალა ქართული ეკონომიკა, მაგრამ არ გამოუწვევია მისი ჩამოშლა. საქართველო ამ პერიოდში ატარებდა ძალიან მკვეთრად გამოხატულ ევროატლანტიკურ პოლიტიკურ კურსს. აქედან გამომდინარე, დასავლეთიდან მიღებული დივიდენდების საშუალებით ფარავდა რუსეთის ფედერაციის მიერ მიყენებულ ზარალს. ამასთან მოხერხდა გასაღების ბაზრის დივერსიფიცირება რუსეთის ფედერაციის ალტერნატიულ ქვეყნებში.

---

[33] ქრონოლოგია 2005წელი https://old.civil.ge/geo/article.php?id=11403 გვ.1

[34] ჯაშუშური თამაშები http://www.tabula.ge/ge/story/55272-jashushuri-tamashebi გვ.1

[35] ყირიმის ანექსია რუსეთის ფედერაციის მიერ https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90_%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0 გვ.1

[36] რამდენად წარმატებულად იზიდავს საქართველო უცხოურ ინვესტიციებს https://forbes.ge/news/2115/ramdenad-warmatebulad-izidavs-saqarTvelo-ucxour-investiciebs გვ.1

მნიშვნელოვანი საფრთხის მაჩვენებლად შეიძლება ჩაითავლოს, რუსეთის ფედერაციის კომპანიების მხრიდან კორპორაციული ჯაშუშობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. ამჟამად საქართველოში რუსული კაპიტალი მნიშვნელოვან ბერკეტებს ფლობს. მხოლოდ აჭარის რეგიონში 2016 წ. პირველ კვარტალში რუსული ინვესტიციების მოცულობა 29%-ით 98,7 მილიონამდე გაიზარდა.[36] ასევე, კომპანია "ინტერ რაო", რომლის აქციონერები რუსული სახელმწიფო კომპანიები არიან, ფლობენ საქართველოს ენერგოსადისტრიბუციო კომპანია "თელასს", თბოსადგურ "მტკვარი ენერგეტიკას", "ხრამჰესი-1"-ს, "ხრამჰესი-2"-ს; რუსული კომპანია ფლობს შპს "ენერგიასაც", რომელსაც ეკუთვნის დარიალიჰესი, ლარსიჰესი, შილდაჰესი. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების საკუთრებაშია ავანიჰესი, ალგეთი ჰესი, სკურდიდი ჰესი. ქართული და რუსული მხარე ერთობლივად ფლობენ "საქრუსენერგოსაც", რომელიც ქვეყანაში ელექტროენერგიის გადამცემ სისტემას განკარგავს. ამასთან, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების საკუთრებაშია ჟინვალჰესი, აგრეთვე თბილისის, მცხეთისა და რუსთავის წყალმომარაგების კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს".

ორგანიზაციის კვლევის მიხედვით, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების საკუთრებაშია ნავთობკომპანიები "ლუკოილი", "გალფი", "ფოთის ნავთობტერმინალი", ძვირფასი ლითონების მომპოვებელი კომპანია "ერემჯი", აგრეთვე მინერალური წყლების მწარმოებელი "ბორჯომი", მუდმივი დენის მაგისტრალური ელმავლების მწარმოებელი სს "ელმავალმშენებელი", "ვითიბი ბანკი ჯორჯია". „როსნეფტმა“ შეისყიდა რუსი ბიზნესმენის “Petrocas Energy Limited”-ში 49% -იანი წილი.[37] თავის მხრივ დავით იაკობაშვილი კომპანია “ჩელენჯ ენერჯის” აქციონერია, რომელიც ფოთის პორტის ნავთობტერმინალის ოპერირებას ახორციელებს.

პროპაგანდა, როგორც რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო იარაღი

მოწინააღმდეგისთვის თავისი მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვან სფეროს წარმ ოადგენს პროპაგანდისტული საქმიანობა, ამ დროს ძირითადი აქცენტი კეთდება, ისეთ ე.წ. საერთო „შეხების წერტილზე“, როგორიცაა - საერთო ისტორიის, კულტურულ-მსოფლმხედველობრივი კატეგორიები (საერთო ორასწლიანი ისტორია, მეორე მსოფლიო ომი; ამ მიზნის მისაღწევად კი - რელიგიური, საგანმანათლებლო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, კულტურული გაცვლის პროგრამების, მასმედიის, გავლენის მქონე ორგანიზაციების ან პირების დაფინანსება) და სხვა.

უძველესი პერიოდიდან რელიგიური ინსტიტუტები წარმოადგენენ მასებზე იდეოლოგიური გავლენის ძლიერ მექანიზმს. სწორედ ამიტომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოში ე.წ. ეგზარქოსების ინსტიტუტის ჩამოყალიბების თავიდან

ასაცილებლად აუცილებელია საქართველოს სპეცსამსახურებმა განსაკუთრებულად გააქტიურონ მუშაობა.

რუსული პროპაგანდისტული მანქანა ცდილობს გამოიყენოს არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია თავიანთი მიზნების განსახორციელებლად. მათგან გარკვეული ნაწილი მოქმედებს კულტურული ურთიერთობების გაღრმავების ლეგენდით, ნაწილი კი არც მალავს თავის პოლიტიკურ პლატფორმას.

სადღეისოდ, ამ კუთხით განსაკუთრებით აქტიურ ორგანიზაციებად ჩამოყალიბდა:„ევრაზიულიინსტიტუტი“; „ერეკლე მეორის საზოგადოება“; „გორჩაკოვის ფონდი“;„პრიმაკოვის ფონდი“; „რუსული კლუბი“;გარდა არსებული ფონდებისა პრორუსული პროპაგანდის მძლავრ იარაღს წარმოადგენენ მასმედიის გავლენიანი სახეები და ჟურნალისტები, რომლებიც აშკარად ეწევიან ანტიდასავლურ აგიტაციას ან არ მალავენ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებასთან საქმიან კავშირებს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მასმედიის საშუალებები:ტელეკომპანია ობიექტივის გადაცემა „ოქროს კვეთა“; გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“; „ასავალი-დასავალი“ ; „კვირის ქრონიკა“; სპუტნიკ-გრუზია;

აღსანიშნავია, რომ თუ სსრკ-ს სპეცსამსახურები უცხოეთში ძირგამომთხრელი საქმიანობისა და იდეოლოგიური ბრძოლისას ეყრდნობოდა ძირითადად მემარცხენე ძალებს, რუსული სპეცსამსახურებისთვის რადიკალური მემარჯვენე ძალები აღმოჩნდა მისაღები. საქართველოში, ამ ორგანიზაციების მეშვეობით რუსული ოკუპაციიდან აქცენტი გადატანილ იქნა „თურქულ-არაბულ-ირანულ საფრთხეებზე“, რისთვისაც აქტიურად იყენებს „ქართული მარშის“, საქართველოს ნაციონალ-სოციალისტური იდეების გამტარებელ ორგანიზაციებს, რადგან რუსული პოლიტიკური მიზნებისთვის მინიმალურ იდეოლოგიურ ამოცანას პირველ ეტაპზე წარმოადგენს ლიბერალური ღირებულებების ჩანაცვლება ე. წ. „ნაციონალური იდეით“, ევროპული ღირებულებების დისკრედიტაცია.
რუსეთის ფედერაციისათვის მთავარ ამოცანას საქართველოში წარმოადგენს დასავლურ კურსზე საბოლოოდ უარის თქმა და სამომავლოდ ევრაზიული კავშირის ნაწილად გადაქცევა. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებლობა მოითხოვს ყველა შესაძლო ბერკეტის

გამოყენებას, როგორც პოლიტიკური, იდეოლოგიური და ეკონომიკური, ასევე, უკიდურეს შემთხვევასა და ხელსყრელი პირობებში, სამხედრო ძალის გამოყენებას.

რუსეთის ფედერაციაში შესაძლო მძიმე ეკონომიკური კრიზისისას, ტრადიციისამებრ, მოსახლეობის ყურადღების გადატანა ხდება საგარეო თემებზე, როგორიცაა მეზობელ სახელმწიფოსთან ომი. ამ დროს საერთო „მტრის“ ხატი აერთიანებს სოციალურად განსხვავებულ ჯგუფეს ქვეყნის შიგნით. პერსპექტივაში, მსგავსი მოვლენების დადგომამდე აუცილებლობას წარმოადგენს პოტენციური მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მოსახლეობის იდეოლოგიურად გათიშვა, სასურველი მსოფლმხედველობის დანერგვა, ეკონომიკურად დასუსტება, მორალურად გახრწნა.

2.2 საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები პოსტსაბჭოთა პერიოდში

საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები სამხრეთ კავკასიაში (სამხრეთ კავკასია) რეგიონალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ისინი სერიოზულ ზეგავლენას ახდენენ ენერგეტიკულ ვაჭრობაზე, მათ შორის ტრანსპორტისა და სატრანზიტო სფეროში - ბაქოსა და თბილისს შორის თანამშრომლობის პრიორიტეტულ სფეროზე და გავლენას ახდენს რეგიონში არსებულ ვითარებაზე. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ბაქო-სუფსა (BS) და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენები, ბაქო-თბილისი-ერზერუმი (BTE) გაზსადენი და აშენებული ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობა. გარდა ამისა, დაგეგმილია აზერბაიჯანის შაჰ დენიზის განვითარების მეორე ეტაპის ფარგლებში წარმოებული გაზის ტრანსპორტირება. დღეისათვის, Nabucco- ის ჩათვლით, პროექტების უშედეგოდ დასრულების შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვანია TAP / TANAP- ის გაზსადენის მშენებლობა.[38]

ამ სახელმწიფოების თანამშრომლობის ხელშემწყობ ფაქტორად,შეიძლება ჩაითვალოს, 1990-იან წლებში მიმდინარე ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების მოგვარების საკითხზე გამოვლენილი ორი იდენტური კონცეპტუალირი მიდგომა,რის შედეგადაც ორივე ქვეყანამ საბჭოთა პერიოდში (მათ შორის საქართველომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონებზე) მთლიანად დაკარგა ავტონომიური ფორმირებების კონტროლი. ამ თვალსაზრისით, ორივე ქვეყანა მხარს უჭერს ერთმანეთს საერთაშორისო ორგანიზაციების სამიტებზე, რომლებიც მნიშვნელოვნად აფართოებენ ურთიერთქმედების სფეროს. აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ორივე

[37] საქართველოს ეკონომიკური ანექსია http://versia.ge/index.php/2013-07-31-11-22-56/item/1985- გვ.1

სახელმწიფოსათვის სერიოზული მნიშვნელობა აქვს თურქეთთან ურთიერთობის ფაქტორს. ეს უკანასკნელი ლიდერის პოზიციას იკავებს საქართველოს ეკონომიკისა და ვაჭრობის სფეროს ფუნქციონირების გზაზე, ხოლო აზერბაიჯანისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორია სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში. არ უნდა დაგვავიწყდეს მათი რუსეთთან განვითარებული ურთიერთობების დამძიმების საკითხი, თუმცა თბილისისგან განსხვავებით ბაქო ცდილობს იპოვოს გამოსავალი,რომ არ დაიმძიმოს ურთიერთობა მოსკოვთან. ყველა ეს ფაქტორი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აზერბაიჯანულ-ქართული ურთიერთობების საერთო დინამიკაზე და ამავდროულად ხაზს უსვამს მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივებს, ასევე შესაძლო პრობლემებისა და შეზღუდვების ფორმატს.

ურთიერთობების დინამიკის მიმოხილვა

ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობების ამჟამინდელი სტრუქტურას საფუძველი ჩაეყარა 1990-იანი წლების შუა რიცხვებში, როდესაც ორივე ქვეყანამ შეძლო გამოსულიყო იმ მძიმე აჩრდილიდან,რომელიც ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების შედეგად იყო გამოწვეული და კონცენტრაცია მოახდინეს მთლიანად რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე.

ამ ქვეყნების დაახლოების ხელსაყრელი ფაქტორად, შეიძლება ჩავთვალოთ ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის დროიდან მათი ლიდერები გ. ალიევი და ე. შევარდნაძე ერთმანეთს კარგად იცნობდნენ და საკმაოდ სანდო ურთიერთობა ჰქონდათ. რაც, რასაკვირველია, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განვითარებისა და გაძლიერების უმთავრესი ფაქტორი იყო. შედეგად, დაიწყო მოლაპარაკებები, მნიშვნელოვან შეთანხმებაზე კასპიის ენერგორესურსების მოპოვებისა და დასავლეთის / მსოფლიო ბაზრის ტრანსპორტირების საკითხზე, საქართველოს ტერიტორიის გავლით. ამ

---

[38] გაზის სამხრეთის დერეფანი https://grass.org.ge/wp-content/uploads/2018/06/saboloo-versia-_gazis-samkhrethis-derephani.pdf გვ.1

[39] შეთანხმება საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის http://eiec.gov.ge/NavMenu/Documents/International_agreements/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%90%E1%83%98%E1%83%AF%E1%83%90-(1).aspx გვ.1

[40] აზერბაიჯანის ისტორია http://trims.edu.az/noduploads/book/quot-%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%90%E1%83%98%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90-quot-azarbaycan-tarixi-fanni-uzra-11-ci-sinif-ucun-darslik-1538988895-939.pdf გვ.192

პერსპექტივის გათვალისწინებით, დაიწყო არა მარტო ორმხრივი ურთიერთობის შენება, არამედ მათ გახსნეს მშვიდობიანი, უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის გზა კავკასიაში. 1996 წლის მარტში საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ხელი მოეწერა ორ მნიშვნელოვან დოკუმენტს: მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების გაძლიერების ხელშეკრულება და მშვიდობის, უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის დეკლარაცია კავკასიაში.[39] 1990-იანი წლების ბოლოს დაიწყო მოლაპარაკებები აზერბაიჯანის მხრიდან ე.წ. ადრეული ნავთობის ტრანზიტის პროექტის განხორციელებაზე (პირველი ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის გავლით, შემდეგ კი ახალი BS ნავთობსადენის გავლით).

1999 წელს, "საუკუნის ხელშეკრულების" ფარგლებში, აზერბაიჯანის მთავრობასა და ნავთობკომპანიების საერთაშორისო ოპერაციულ კონსორციუმს შორის ხუთი წლით ადრე გაფორმდა შეთანხმება ბთჯ-ის ძირითადი ნავთობსადენის მშენებლობის შესახებ.[40] მას უნდა გაევლო საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიაზე.

მშენებლობა, რომელიც დაიწყო 2002 წლის სექტემბერში, პროექტი 2005წელს დასრულდა და 2006წლის 28 მაისს კასპიის ნავთობის პირველი ნაკადი კასპიის ზღვაზე ბაქოს სამხრეთით მდებარე სანგაჩალის ტერმინალიდან 1,768-კილომეტრიანი მილსადენით აზერბაიჯანი,საქართველოსა და თურქეთის გავლით ჯეიჰანამდე-ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე გავიდა.[41] აღნიშნული მილსადენი თანამედროვე სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ-დასავლეთ დერეფნის საფუძველი გახდა. ამავე დროს, მშენებლობა დაიწყო BTE- ის გაზსადენზე, რომელიც განკუთვნილი იყო შაჰ-დენიზის გაზსადენის განვითარების პირველ ეტაპზე წარმოებული გაზის მიწოდებისათვის.

გარდა ამისა, 1999 წლიდან, ადრეული ნავთობის გარკვეული ნაწილი გადაყვანილ იქნა აზერბაიჯანიდან ბათუმის საზღვაო ნავსადგურამდე. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ყაზახეთის ნავთობი (დაახლოებით 3 მილიონი ტონა წელიწადში) შემოდის ამ პორტში, რომელიც აზერბაიჯანს ტანკერებით გადაეცემა.

ბთჯ-ს ნავთობსადენის გატარების შემდეგ, კასპიის ენერგორესურსების სარკინიგზო სატრანსპორტო მარშრუტი და BS ნავთობსადენი AIOC- ს მაგივრად ახლა, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია (SOCAR) მიერ გამოიყენება.[42]

2003 წლის ნოემბერში საქართველოს "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, ხელისუფლებაში მოვიდა ახალი მთავრობა მ. სააკაშვილის ხელმძღვანელობით.მან დაუყოვნებლივ დააფიქსირა პროდასავლური პოზიცია და დაიწყო მკვეთრად გამოხატული ანტირუსული კურსი; ეს იყო აზერბაიჯანულ-ქართული ურთიერთობების ახალი ფაზის დასაწყისი ყველა სფეროში.

თავის მხრივ, აზერბაიჯანის ახალი პრეზიდენტი, ილიას ალიევი ზოგადად განაგრძობდა მამის მიერ მომზადებულ საგარეო პოლიტიკურ კურსს, მათ შორის საქართველოსთან მიმართებაში. ახალ რეალობაში ამან ხელი შეუწყო ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობების გარკვეული უწყვეტობის შენარჩუნებას.

თანამშრომლობა პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფეროებში

სუამ-ში მონაწილეობისა და დასავლური სტრუქტურებისა და სახელმწიფოებთან ურთიერთობების კოორდინაციის გარდა, მ. სააკაშვილის მმართველობის დროს, განსაკუთრებით გააქტიურდა აზერბაიჯანისა და საქართველოს მცდელობა თავიანთი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფეროში თურქეთის ჩართვის საკითხთან დაკავშირებით. სამივე ქვეყანას აქვს მუდმივი ურთიერთქმედების გამოცდილება პრეზიდენტებთან, პრემიერ მინისტრთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან და ა.შ., რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ბერკეტს რეგიონის საგარეო პოლიტიკისა და ეკონომიკური საქმიანობის კოორდინაციისთვის.

ეს ტენდენცია 2007 წლის დასაწყისისთვის იყო ინსტიტუციონალიზებული, როდესაც აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ი.ალიევმა საქართველოში სამმხრივი შეხვედრა გამართა მ.სააკაშვილისა და თურქეთის პრემიერ-მინისტრ რ.ერდოღანის მონაწილეობით. მისი შედეგების საფუძველზე მიღებული იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რამაც საფუძველი ჩაუყარა სამმხრივ თანამშრომლობას რეგიონული პოლიტიკის სფეროში.

სამი ქვეყნის შემდგომი შეთანხმებები აისახა 2012 წლის ივნისში მიღებული ე.წ. „ტრაპიზონის დეკლარაციაში“.[43] აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ლიდერების შემდეგი შეხვედრა 2013 წლის მარტში გაიმართა. შედეგი იყო 2013-2015 წლების სამმხრივი თანამშრომლობის გეგმის ხელმოწერა (2013-2015 წლების სამმხრივი თანამშრომლობის სამოქმედო გეგმა).[44]

საქართველოსა და თურქეთის თითქმის ყველა მსგავსი შეხვედრის დროს აზერბაიჯანი მათი მხრიდან ისმენდა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის წარმატებით მოგვარების მზადყოფნის ფორმალური გარანტიებს. მნიშვნელოვანია, რომ 2012 წლის ბოლოს, ბაქოში ოფიციალურად გამოიკვეთა ყარაბაღის ფაქტორი, სწორედ მაშინ როდესაც საქართველოს ხელისუფლებაში ახალი პოლიტიკური ლიდერები მოვიდნენ. მათ განცხადება გააკეთეს აფხაზეთის რკინიგზის აღდგენისა და განახლების შესაძლებლობის თაობაზე,(მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობების

გაუმჯობესების მიზნით) რამაც ძალიან უარყოფითი რეაქცია გამოიწვია აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან.

1990-იანი წლების სუამ-ის არსებობის "აქტიური ფაზის" დროს მიღწეული შეთანხმებების თანახმად, საქართველო და აზერბაიჯანი ცდილობენ თავიანთი პოზიციების კოორდინაციას სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებსა და ორგანიზაციებში (გაეროს გენერალური ასამბლეა, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, ეუთო, BSEC და ა.შ.).[45] ამავდროულად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რეგიონალური ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოგვარებას და შიდა პრობლემების გადაჭრას. როგორც უკვე აღინიშნა, აზერბაიჯანი ცდილობს თავი შეიკავოს მკაცრი განცხადებების გაკეთებისაგან რუსეთის მისამართით. თავის მხრივ, ქართულ მხარეს განსხვავებული აზრი აქვს, რაც მკაფიოგაეროდ იქნა გამოხატული უშიშროების საბჭოს სხდომაზე აფხაზეთის პრობლემის საკითხზე.

აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის სამხედრო თანამშრომლობა მოიცავს ორ ძირითად კომპონენტს:

1) ორმხრივი და მრავალმხრივი (ძირითადად ნატოს პროგრამების ფარგლებში) ტრენინგები და წვრთნები, ასევე სამშვიდობო და სხვა ღონისძიებები;

2) მესამე ქვეყნებიდან პირდაპირ თანამშრომლობას იარაღისა და სამხედრო ტექნიკის მიწოდების ან / და ტრანზიტის სფეროში.[46]

ამავე დროს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არც ორმხრივ, არც სამმხრივ (აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი) და არც მრავალმხრივ ფორმატებში (მაგალითად,

---

[43] საგარეო საქმეთა სამინისტროს ტრადიციული ბრიფინგი http://www.mfa.gov.ge/News/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%98-(74).aspx გვ.1

[44] სამმხრივი თანამშრომლობის სამოქმედო გეგმა http://gov.ge/files/46959_46959_817283_59-126.01.15.pdf გვ.3,4,6,9

[45] სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4----4---0-0l--11-en-00---10-ru-50--00-3-about-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-1utfZz-8-10&cl=CL1.24.1&d=HASHc562e01b3cc5fe4d163605&gt=2 გვ.1

[46] აზერბაიჯანისა და საქართველოს სამხედრო თანამშრომლობა https://jam-news.net/%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%90%E1%83%98%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94/?lang=ka გვ.1

ნატოსთან თანამშრომლობის ფარგლებში), ამ ქვეყნების შეიარაღებული ძალები არ არიან ვალდებულნი მათი სამხედრო შესაძლებლობების გაზიარებისა და საოპერაციო დონეზე ურთიერთქმედების საკითხში. უფრო მეტიც, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის პოლიტიკურ დონეზე არ არსებობს ერთობლივი დაცვის უსაფრთხოებისა და ვალდებულებების ორმხრივი გარანტიები.

საქართველო და აზერბაიჯანი რეგულარულად ახდენენ სამხედრო-პოლიტიკური ინფორმაციის გაცვლას და მხარს უჭერენ თავიანთი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსების თანამშრომლობას.

საქართველოს ტერიტორია რჩება ყველაზე მნიშვნელოვან სატრანზიტო დერეფნად. მთიანი ყარაბაღის ქეისი გვაძლევს საშუალებას აღნიშნულ სახელმწიფოთა ურთიერთობა პოლიტიკურ კოტექსტშიც განვიხილოთ და შევაფასოთ, როგორც საქართველოს ორ ურთიერთდაპირისპირებულ მეზობელს შორის კონფლიქტის გავლენა ჩვენს სახელმწიფოზე.

ცხადია, საქართველოსათვის რთულია ორ დაპირისპირებულ,მეზობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობის განმტკიცება, რაშიც მას საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისას დიდი სიფრთხილე მართებს, ქვეყნის მიერ არჩეული ნეიტრალური პოლიტიკა შესაძლოა ზეწოლის ობიექტადაც კი იქცეს კონფლიქტში მყოფი სახელმწიფოების მხრიდან. ამ პროცესში რუსეთის ჩართულობა ართულებს მდგომარეობას, რომელსაც სომხეთთან მჭიდრო პარტნიორობა აკავშირებს, რისი საშუალებითაც აღნიშნულ ქვეყნებს აქვთ ძლიერი, სტრატეგიული პლაცდარმა კავკასიაში, ეს კი მის პოზიციებს აძლიერებს. რუსეთი ამ კოზირის ხელში ჭერით ინარჩუნებს გავლენას საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ქვეყანაზე.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოსათვის აზერბაიჯანიცა და სომხეთიც სტრატეგიული მნიშვნელობის პარტნიორები არიან, ქვეყანა საგარეო ურთიერთობებში კონცენტრირებულია იმაზე, რომ აღნიშნულ დაპირისპირებაში ნეიტრალური პოზიცია შეინარჩუნოს, თუმცა გამწვავების შემთხვევაში იგი ვერ შეძლებს ნეიტრალიტეტის შენარცუნებას, რადგან შესაძლოა აზერბაიჯანმა საქართველოსგან მოითხოვოს საეთაშორისო ორგანიზაციებში მხარდაჭერა და სომხეთისათვის სავაჭრო გზების გადაკეტვა. უარის თქმის შემთხვევაში შესაძლოა ბაქომ ენერგომატარებლების ფუნქციონირება შეაფერხოს. თუკი რუსეთი გადაწყვეტს, რომ ჩაერთოს ომში, ,,გიუმრიში'' საკუთარი სამხედრო ბაზის დაცვის აუცილებლობის საბაბით, მოსკოვი თბილისს სამხედრო ტვირთების სახმელეთო გზით გატარებას მოსთხოვს. ექსპერტების ვარაუდით, თუ ეს მოხდა საქართველოს მთავრობა მის ტერიტორიაზე სუვერენიტეტის კონტროლს დაკარგავს. ქვეყანა დიდ დარტყმას მიიღებს ეკონომიკის სფეროშიც, რაც

მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული აზერბაიჯანზე ენერგომატარებლების კუთხით და ასევე სომხეთზეც, რადგან საქართველო წარმოადგენს სატრანზიტო ხაზს სომხეთის საქონლისათვის რუსეთისა და შავი ზღვისპირეთისკენ.

2.3 საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობები

სომხეთ-საქართველოს ურთიერთობას მდიდარი ისტორია აქვს, რომელიც ორი ერის მრავალსაუკუნოვანი მეზობლობითაა განპირობებული. ამასთან, საქართველო-სომხეთის საერთაშორისო ურთიერთობის უახლესი ისტორია სულ რაღაც ორ ათეულ წელს მოიცავს და ამ ორ ქვეყანას შორის წამოჭრილი ყველა საკითხი ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ არის დარეგულირებული.

ორივე ქვეყანას გააჩნია პრობლემები პოლიტიკურ, ეთნოპოლიტიკურ, ეკონომიკურ, ენობრივ და რელიგიურ სფეროში; სიტუაციას კიდევ უფრო ამწავავებს ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის ისედაც რთულ პროცესები და რეგიონალურ სისხლიან ეთნოკონფლიქტებში ჩათრევა, რაც გარდაუვლად აისახება ორივე ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე.

მიმოვიხილავთ, სომხეთ-საქართველოს ურთიერთობის ზოგად დინამიკას, დღევანდელ ვითარებას, შესაძლო პერსპექტივებს და პოტენციურ პრობლემებსა და ასევე ეკონომიკური, საკომუნიკაციო, პოლიტიკური, სამხედრო, კულტურულ-საგანმანათლებლო, ჰუმანიტარული სფეროების ძირითადი პარამეტრებს.

განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ, რუსული ფაქტორის ზეგავლენაზე სომხეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებში, ასევე - სომხებით დასახლებულ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ რეგიონ სამცხე-ჯავახეთში არსებულ სიტუაციაზე .

ეკონომიკური და საკომუნიკაციო ურთიერთობები

ორი მეზობელი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობა ძირითადად მოიცავს ტრანზიტს, სხვადასხვა სახის თვირთბრუნვას საქართველოდან სომხეთში და პირიქით, ენერგომატარებლების იმპორტს საქართველოდან სომხეთში. მიუხედავად ამისა სომხეთ-საქართველოს ეკონომიკა სუსტადაა ინტეგრირებული, ისინი სხვადასხვა ბაზრებთანაა მიბმული, გააჩნიათ ურთერთგანსხვავებული სტრუქტურა და ა. შ.

საქართველოსა და სომხეთს შორის ტვირთბრუნვა ხორციელდება ერთი სარკინიგზო განშტოებით და ორი საავტომობილო მაგისტრალით (საკონტროლო-გამშვები პუნქტები : სგპ- ბაგრატაშენი და სგპ - ბავრა). რაც შეეხება სომხეთის ტაშირის ოლქსა და საქართველოს ადმინისტრაციულ რეგიონ ქვემო ქართლს შორის მდებარე სგპ გუგუთს, მისი როლი უკიდურესად უმნიშვნელოა.

სომხეთისა და საქართველოს ენერგოსისტემებს აერთიანებს მაღალი ძაბვის რამდენიმე გადამცემი ხაზი. საქართველოს ტერიტორიაზე გადის „ჩრდილოეთი-სამხრეთის“ მთავარი მაგისტრალური გაზსადენი, რის მეშვეობითაც რუსეთიდან ბუნებრივი აირი შემოდის სომხეთში. “გარე სამყაროდან“ საქართველოზე გამავალი ტრანზიტული ტვირთბრუნვა ძირითადად ხორციელდება ფოთისა და ბათუმის პორტების მეშვეობით, აგრეთვე - თურქეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო მაგისტრალებით - (სგპ ვალესა და სარფის გავლით; უახლოეს მომავალში მოსალოდნელია სგპ კარწახის გახსნა). მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამო, სომხეთისთვის გათვალისწინებული ტვირთების აზერბაიჯანის გავლით ტრანსპორტირება პრაქტიკულად შეუძლებელია.

მთლიანობაში, სომხეთის ტვირთების ტრანზიტის სტრუქტურა სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული დინამიკით გამოირჩეოდა და უმეტესწილად, პოლიტიკურ კონიუქტურაზე იყო დამოკიდებული. 2010 წლის მარტში, ხანგრძლივი დროის ჩავარდნის შემდეგ, რაც რუსეთ-საქართველოს შორის პოლიტიკური ურთიერთობით იყო გამოწვეული, რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ამოქმედდა ზემო ლარსის სგპ.[47]

სომხეთის ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, 2009 წელს ქართული წარმოების საქონლის ექსპორტმა სომხეთში შეადგინა 40,89 %, ხოლო სომხური საქონლის იმპორტმა საქართველოში - 50, 806 მლნ ამერიკული დოლარი.[48]

საქართველოს სტატისტიკური მონაცემებით საქართველოდან სომხეთში ექსპორტმა შეადგინა 88, 442 მლნ ამერიკული დოლარი (7,9% საქართველოდან ექსპორტის მთლიანი მოცულობიდან), ხოლო სომხეთიდან საქართველოში ექსპორტმა კი - 41, 346 მლნ დოლარი.[49] ციფრებში ასეთი განსხვავება, სავარაუდოდ, გამოწვეულია არა მხოლოდ გამოთვლის მეთოდოლოგიით, არამედ - საქართველო საექსპორტო საქონლის დათვლისას ითვალისწინებს სატრანზიტო ტვირთებსაც.

სომხეთში ექსპორტიორ ქვეყნებს შორის საქართველოს მეხუთე ადგილი ეკავა (7,4% მთლიანი მოცულობიდან) სომხეთის იმპორტის სტრუქტურაში; თავის მხრივ სომხეთს მეოთხე ადგილი ეკავა საქართველოში ექსპორტიორ ქვეყნებს შორის (7,9%

მთლიანი მოცულობიდან), მაშინ, როცა ის საქართველოში იმპორტის სტრუქტურის ათეულშიც კი არ შედის;

სომხეთიდან საქართველოში ექსპორტის სტრუქტურა მოიცავს სამშენებლო მასალებს, მინის და კაუჩუკის ნაწარმს, პლასტმასს, მეცხოველეობის პროდუქტს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, მანქანებს, მექანიზმებს, სამედიცინო საქონელს; საქართველოდან სომხეთში იმპორტი მოიცავს: კვების პროდუქტებს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას (უპირატესად შაქრის ფხვნილსა და ხორბალს, რომელიც რეექსპორტის პროდუქტს წარმოადგენენ), აზოტის სასუქს, ლითონის ნაკეთობებს, ხის მასალას და მის ნამზადს.

უკანასკნელ წლებში საქართველოდან სომხეთში რეექსპორტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს აშშ-დან და ევროპიდან შემოყვანილი მეორადი მოხმარების მსუბუქი ავტომობილები. ისინი ფეროშენადნობებსა და აზოტის სასუქთან ერთად წარმოადგენს საქართველოდან ექსპორტის ძირითად ნაწილს. 2008 წელს ავტომანქანების რეექსპორტმა შეადგინა 706,8 დოლარი; 2009 წელს კი - 254,7 დოლარი. 2007-2009 წელს რეექსპორტირებული ავტომანქანების 70%-ზე მეტი სომხეთსა და აზერბაიჯანზე მოდიოდა.

2011 წლის იანვრის შედეგებით, საქართველოდან ექსპორტის მონაცემთა ნუსხაში მეორადი მოხმარების ავტომობილებმა პირველი ადგილი დაიკავა. საზღვარგარეთ გაყიდულ იქნა 26 მლნ დოლარის ოდენობის ავტომობილი (ქვეყნის ექსპორტის 18%). მათი უმეტესი ნაწილი სომხეთსა და აზერბაიჯანში იქნა ექსპორტირებული.

საკმაო ხნის მანძილზე სომხეთი საქართველოში ახორციელებდა ელექტროენერგიის ექსპორტს (რთული საშუამავლო სქემების მეშვეობით სომხეთი თურქეთისთვისაც ახდენდა ელექტროენერგიის მიწოდებას). ამასთან, ბოლო პერიოდში, საქართველოში ენერგეტიკული დარგების განვითარებასთან და აირტურბინული ელექტროსადგურების მშენებლობასთან ერთად, შეწყდა სომხეთიდან ელექტროენერგიის ექსპორტის საჭიროება. ამასთან რაზდანის თბოელექტროსადგურის მე-5 ბლოკის ექსპლუატაციაში მიღებით (მისი საცდელ-საწარმოო ექსპლუატაცია 2012 წლის გაზაფხულზე დაიწყო), რომელსაც საექსპორტოდ დიდი სიმძლავრის ელექტროენერგიის გამომუშავება შეუძლია (ენერგობლოკის

---

[47] ზემო ლარსის გახსნა და საქართველოს უსაფრთხოების საკითხები https://www.radiotavisupleba.ge/a/1976681.html გვ.1

[48] სატრანზიტო პოტენციალი ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტექსტში http://regional-dialogue.com/geo-arm/ გვ.1

[49] საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია http://www.ei-lat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Georgia_-_20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf გვ.58

სიმძლავრე დაახლ. 160 მეგავატს შეადგენს), გაჩნდა საქართველოს გავლით მისი თურქეთში რეექსპორტის შესაძლებლობა. როგორც ცნობილია ამ საკითხის გადაწყვეტის მიზნით „გაზპრომი“ შეისწავლის გერმანული საშუამავლო ფირმების შესაძლებლობას.

დღეისათვის საქართველოში გაიზარდა ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი (ძირითადა თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან), რასაც ეკონომიკაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. სომხეთიდან ტურისტების რიცხვის გაზრდა განაპირობა დაბალმა ფასებმა და სიახლოვემ (განსაკუტრებით - აჭარაში). 2010 წელს მათმა რაოდენობამ 100 000 გადააჭარბა.

სეზონური ტურიზმის ზრდა სომხეთიდან ასევე განაპირობა სომხური ბიზნესის გააქტიურებამ შავიზღვისპირეთში, სადაც სომხურმა ინვესტიციებმა ათეული მლნ დოლარი შეადგინა.

2010 წელს გამწვავდა დებატები სომხური კაპიტალის საქართველოში გადინებასთან დაკავშირებით.[50] დაახლოებით 100 სომხური ფირმა თავიდან დარეგისტრირდა საქართველოში. ზოგი ფირმა კი სრულიად გადატანას აპირებს, რადგან საქართველოში უფრო ხელსაყრელი ბიზნესკლიმატია, მისაღები კანონებია საქმიანობისათვის და ასევე დაბალია კორუფციის დონე.

ვფიქრობთ რომ ეს დებატები პოლიტიზირებული უფროა. გაურკვეველია, კაპიტალის გადინებაზე საუბრობენ დებატებში თუ წარმატებული ბიზნესის გაფართოებაზე. სერიოზული კვლევები ამ საკითხზე არც ჩატარებულა.

პოლიტიკური სფეროსა და რეგიონალური პროცესების ურთიერთდამოკიდებულება

საქართველოდან სომხეთში მიმავალი სატრანსპორტო კომუნიკაციების სტაბილური და უსაფრთხო ფუნქციონირება მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც ზეგავლენას ახდენს ორი ქვეყნის ურთიერთობაზე, თუ გავითვალისწინებთ სომხეთის ურთიერთობას აზერბაიჯანთან და თურქეთთან. სომხეთის ტვირთბრუნვის 60-80% საქართველოზე მოდის.

გარდა ამისა, სააკაშვილის პერიოდში, დასავლეთის ქვეყნების (განს. - აშშ) პროქართული პოლიტიკის გამო, სომხეთის ხელისუფლება იძულებული გახდა ფრთხილი პოლიტიკა ეწარმოებინა საქართველოსთან და მწვავედ არ დაესვა ჯავახეთის საკითხი.

რუსეთ-სომხეთის სტრატეგიული პარტნიორობა და სომხებით დასახლებული, უშუალოდ, მოსაზღვრე ჯავახეთის რეგიონი, გავლენას ახდენს სომხეთ-საქართველოს ურთიერთობაზე.

საქართველოს და სომხეთს კარდინალურად განსხვავებული პოლიტიკა გააჩნიათ რეგიონალური ეთნოკონფლიქტების გადაჭრის საკითხებში. საქართველო ტერიტორიალური ერთიანობის პრინციპის უპირობო მომხრეა, სომხეთი - ერთა თვითგამორკვევისა. საქართველოს აფხაზეთისა და ს. ოსეთის გამო აქვს ეს პოზიცია; სომხეთს-მთიანი ყარაბახის გამო. მიუხედავად ამისა, სომხეთი ვერ სცნობს ამ ქართული რეგიონების დამოუკიდებლობას, რადგან საქართველოზე გამავალ უალტერნატივო გზასაც დაკარგავს.

ასევე განსხვავებული პოზიცია აქვთ პარტნიორების არჩევანში. სომხეთი განსაკუთრებით ფრთხილად აკვირდება საქართველოს ურთიერთობის გაღრმავებას თურქეთთან და აზერბაიჯანთან. თუნდაც, ყარსი-ახალქალაქი -თბილისის სარკინიგზო პროექტი სომხეთს ემუქრება საკომუნიკაციო იზოლაციით.

2008 წლის ომმა გავლენა მოახდინა საქართველო-სომხეთის ურთიერთობაზე. ქართული საზოგადოება და პოლიტიკური ელიტა მკვეთრად რეაგირებდა სომხეთის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე. ნათელია, რომ ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების შემდეგ საქართველოს რეგიონალური მნიშვნელობა და პოლიტიკურ-ეკონომიკური უპირატესობა მკვეთრად დაეცამ.

საქართველოში შიშობენ, რომ თურქეთ-სომხეთის ურთიერთობის მოგვარების შემთხვევაში საქართველო დაკარგავს უპირატეს მდგომარეობას რეგიონში. კავკასიაში მშვიდობისა და დემოკრატიის ინსტიტუტის დირექტორი გია ნოდია თვლის რომ ამ შემთხვევაში საქართველო „დაკარგავს პრივილიგირებულ მდგომარეობას“. ასევე, შიშობენ, რომ ყარაბახის კონფლიქტის მოგვარება სომხეთს საშუალებას მისცემს წამოსწიოს ჯავახეთის პრობლემა.

2009 წელს თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობის ნორმალიზების დაწყებამ თბილისი შეაშფოთა. 2010 წელს პროცესის ჩიხში შესვლის შემდეგ

---

[50] ანდრანიკ ტევანიანი-ვუახლოვდებით ევროპას? ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში შესავალი გვ.1

[51] საქართველო-სომხეთი მდგრადი ურთიერთობები https://ge.boell.org/ka/2017/12/15/somxeti-da-sakartvelo-mdgradi-urtiertoba გვ.1

[52] საქართველო და ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება http://weg.ge/sites/default/files/sakartvelo_da_evropis_-energetikuli_gertianeba-1.pdf გვ.29,30,35

საქართველოს მთავრობამ ისევ გააკეთა განაცხადი საქართველოს როლის შესახებ სომხეთის საკომუნიკაციო სისტემაში.[51] ეს აისახა სატარიფო პოლიტიკაზეც.

დღეისათვის ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა: გზათა მიმოსვლის, ჯავახეთის; რუსეთთან, თურქეთთან, აზერბაიჯანთან ურთიერთობა, მათ შორის საზღვრის დელიმიტაციის პრობლემა, რომელიც სსრკ-ს დროს გატარდა - რელიეფის გათვალისწინებით. მიმდინარეობს რთული მოლაპარაკებები საზღვრის შესახებ, რათა იგივე პრინციპით გავლებული საზღვრებით შესაძლოა სომხური სოფლები საქართველოში აღმოჩნდეს.

მნიშვნელოვან საკითხია „ჩრდილოეთი-სამხრეთის“ მილსადენი. იქედან 10% ბუნებრივ აირს საქართველო იტოვებს. 2010 წელს საქართველოს პარლამენტმა გაზსადენი სტრატეგიული ობიექტების ნუსხიდან ამოიღო და მისი პრივატიზების შესაძლებლობა დააყენა დღის წესრიგში.[52] საშიშროება გაჩნდა, რომ აზერბაიჯანის ხელში ჩავარდნილიყო მილსადენის აქციების კონტროლი. ამის მზაობა გამოთქვა კიდეც აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიის ხელმძღვანელმა აბდულაევმა. ეს საკითხი განიხილებოდა სააკაშვილის ვიზიტისას ერევანში. ქართული მასმედიის თანახმად „ჩრდილოეთი-სამხრეთის“ მილსადენის აქციათა 25% უნდა განთავსებულიყო ლონდონის ბირჟაზე. იმდროინდელი ენერგეტიკის მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურის თქმით, აქციათა სრულად გაყიდვა იმ დროისთვის არ იგეგმებოდა.

სომხეთის ენერგეტიკის მინისტრმა პარლამენტში განაცხადა, რომ თუ აზერბაიჯანის მიერ აქციების შეძენა არ შეეხება მილსადენის მართვას და ის განხორციელდება საერთო მენეჯმენტის საფუძველზე. მინისტრის დასკვნით საფრთხე არ არსებობდა. მ.სააკაშვილის სომხეთში ვიზიტისას განიხილებოდა აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებში ხმის მიცემის კოორდინაციის საკითხები. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. კალანდაძემ განაცხადა, ეს საკითხი პრეზიდენტების დონეზე უნდა გადაწყდეს. საქმე იმაშია, რომ გაეროსა და ეუთოში, ყარაბახის საკითხებთან დაკავშირებით, საქართველო პროაზერბაიჯანულ რეზოლუციებს უჭერს მხარს; პასუხად, სომხეთი აფხაზეთსა და ს.ოსეთში დევნილთა დაბრუნების წინააღმდეგ გამოდის.

საქართველოსა და სომხეთს ერთ საკითხში აქვთ შეხების წერტილი: ევროკავშირის „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამით ორივე დაინტერესებულია და ურთიერთთანამშრომლობენ.

სამხედრო თანამშრომლობა

საქართველო-სომხეთის სამხედრო თანამშრომლობა მოკრძალებული მოცულობით ხორციელდება, ძირითადად - ნატოს მრავალეროვანი პროგრამებში მონაწილეობის ფორმით და სამხედრო ტრანზიტის ფორმით (რუსეთიდან სომხეთში). 2007-2008 წლებში ერთობლივი წვრთნები ჩატარდა საქართველოს მთიან რეგიონში.

1990-2000 წლებში რუსული ჯარების საქართველოში ყოფნისას ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის 142 სატანკო-სარემონტო ქარხანაში ხდებოდა სომხეთისთვის განკუთვნილი ჯავშანტექნიკის შეკეთება. დღეს ასეთი ინფორმაცია აღარ მოიპოვება. ამასთან ცნობილი გახდა, რომ საქართველომ აზერბაიჯანს მიჰყიდა СУ-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი;

2008 წლის ომის პერიოდში შეიქმნა სირთულეები რუსეთიდან სომხეთში სამხედრო ტექნიკის ტრანსპორტირების კუთხით. ეს საკითხი 2005 წელს, საქართველოდან რუსული ჯარების გაყვანისას იყო შეთანხმებული სახელმწიფოებს შორის. 2011 წელს მოხდა იმ დოკუმენტის დენონსაცია, რომლის საფუძველზე სამხედრო ტექნიკა, საქართველოს გავლით, რუსეთიდან სომხეთში შევიდოდა. მოლაპარაკებისას გაირკვა, რომ დენონსაცია ეხებოდა სომხეთში დისლოცირებულ რუსულ ჯარს და არა სომხეთის სამხედრო ძალებს. ეს საკითხი დარეგულირდა და არავითრი გავლენა არ მოუხდენია სომხეთ-საქართველოს ურთიერთობაზე.

რუსული ფაქტორი სომხურ-ქართულ ურთიერთობაში

რუსული ფაქტორი სომხეთ-საქართველოს ურთიერთობაზე ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

ქართული საზოგადოების ანტირუსული განწყობა გადაჯაჭვულია ჯავახეთის სომხების ფარულ „სეპარატიზმში“ ეჭვის მიტანასთან დაკავშირებით. რუსეთ-სომხეთის ურთიერთობის გაღრმავების და კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციაში ერევნის გაწევრიანების ფონზე, ქართული საზოგადოების მიერ ანტირუსული ნეგატივი სომხურ დიასპორაზე პროვოცირდება. სწორედ რუსული გავლენის შედეგია საერთაშორისო ორგანიზაციებში სომხეთის მიერ ხმის მიცემა საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. ამ კუთხით სომხეთ-საქართველოს ურთიერთობა კარგა ხნის მანძილზე ნეგატიური იქნება. პრობლემას კი თვით ქართულ საზოგადოებაში არსებული განწყობა წარმოადგენს.

2008 წლის მოვლენების შემდეგ რუსეთისადმი ნეგატიური განწყობა კიდევ დიდხანს შერჩება ქართულ საზოგადოებას. შესაძლოა, მომავალში რუსეთთან თანამშრომლობას პრაგმატული კუთხით მიუდგეს ქართული მხარე და ამ ურთიერთობათა გადაფასების შემდეგ შესაძლოა მწვავედ აღარ აღიქვას სომხურ-რუსული კავშირი. აქედან გამომდინარე,ეს ყოველივე დადებითად აისახოს სომხეთ-საქართველოს ურთიერთობაზე.

სომხებით დასახლებული სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ფაქტორი ქვეყანათშორის ურთიერთობებში.

ჯავახეთის ფაქტორი ყოველთვის ახდენდა გავლენას სომხეთ-საქართველოს ურთიერთობაზე. რეგიონის აბსოლუტური უმრავლესობა სომხური მოსახლეობაა. ახალქალაქში-95%; ნინოწმინდაში-96%. მთელ პოსტსაბჭოთა პერიოდში ქართულ საზოგადოებას და პოლიტელიტას ეჭვი ჰქონდა, რომ სომხეთი აქეზებდა სეპარატიზმს ამ რეგიონში. მიუხედავად იმისა,რომ ამ საკითხში ერევანი ყოველთვის ფრთხილ და აწონილ პოლიტიკას მისდევდა, საქართველოში მაინც დარჩა ჯავახეთის და ყარაბახის შედარებისაკენ მიდრეკილება. თავისწილ, ასევე სომხეთში გარკვეულ პოლიტიკურ წრეებში მუსირებს აზრი, რომ საქართველოს მიზანია ჯავახეთში ეთნიკური ბალანსის შეცვლა და სომხების იქედან გამოდევნა. ამ მიზნით, თითქოსდა, საქართველოს ხელისუფლება გამიზნულად უქმნის მათ აუტანელ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს.

ამას გარდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვის შემდეგ საქართველო ამ რეგიონებში ვეღარ გამოიყენებს თავის შეიარაღებულ ძალებს, რომელსაც განუწყვეტლივ ზრდიდა 2004 წლიდან დაწყებული, მაგრამ ეს ძალები საქართველომ შესაძლოა სომხებით დასახლებულ ჯავახეთსა და აზერბაიჯანელებით დასახლებულ ქვემო ქართლში გამოიყენოს. მაღალი ალბათობით,ჯავახეთში არსებული სიტუაცია დიდხანს გაგრძელდება. ქართული მხარე ეცდება გაიმაგროს გავლენა სომხურ მოსახლეობაზე, სასკოლო განათლების „გადაქართულებით“, გაზარდოს ქართველი ეროვნების ჩინოვნიკების რაოდენობა, სახელმწიფო სიმბოლიკის გამოყენება, ძალოვან უწყებებში ასევე ეთნიკური

ქართველების ხვედრითი წილი და ყოველმხრივი ზეწოლა მოახდინოს სომხურ მოსახლეობაზე. თავის მხრივ სომხეთი ეცდება ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილების განელებას. საერთაშორისო სტრუქტურები, მაგ. ეუთო კი უკიდურეს შემთხვევაში რბილად გააკრიტიკებს თბილისს ეთნიკური უმცირესობის უფლებების დარღვევის გამო. სომხეთ-საქართველოს ურთიერთობის განმტკიცების მომხრეა აშშ. გასათვალისწინებელია სომხეთის ლობისტი ორგანიზაციები და პარტია „დაშნაკცუტუნი“, რომელსაც თავისი სტრუქტურები გააჩნია.

2012 წ. აშშ-ში მ.სააკაშვილი ვიზიტისას შეხვდა პროსომხურად განწყობილ კონგრესმენებს და განიხილეს ჯავახეთისთვის მიზნობრივი დახმარების საკითხი.

ჯავახეთიდან გამოსულ დიასპორას რუსეთში ერთიანობა არა აქვთ, არც სერიოზული ორგანიზაცია და პოლიტიკური ველი გააჩნიათ. ზოგი ინტეგრირებულია ქართულ ხელისუფლებასთან და ერთიან ეკონომიკურ პროექტებში არიან ჩართულნი. აქედან გამომდინარე ისინი ერიდებიან საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლას ან მათ წინააღმდეგ პროპაგანდის გაწევას.

თავი. III თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

კოლონიალური სსისტემის დამსხვრევის შედეგად, გაჩნდა ბევრი ახალი სახელმწიფო და კაცობრიობის დიდმა ნაწილმა გააცნობიერა,რომ მათი სახელმწიფოების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენდა, საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრაცია. სწორედ ამ სახელმწიფოთა რიგებში შედის საქართველოც.

პოსტსაბჭოთა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებზე საუბრისას, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ ქვეყნისათვის ისეთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრაცია და მათი როლის განსაზღვრა ქვეყნის განვითარების საკითხში. ასევე აუცილებელია,ყურსდღება გავამახვილოთ, მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების წარმატების უზრუნველყოფის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის,უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების შექმნის მიმართულებებით.

პოსტსაბჭოთა საქართველო რეგიონალური პროექტების ფარგლებში ჩართულია და აქტიურად თანამშრომლობს ისეთ საერთაშორისო და სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციებთან როგორებიცაა: საერთაშორისო სავალუტო ფონდი;საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია; ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია; მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია; გაერთიანებული ერების ორგანიზაცია; შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარბის ორგანიზაცია; სუამი-არაფორმალური პოლიტიკური გაერთიანება და სხვა.

3.1 გაეროს მოქმედების პრინციპები,მიზნები და ამოცანები საქართველოსთან მიმართებაში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის წამყვანი ადგილი უჭირავს. მისი შექმნის საფუძველი გახდა, მებრძოლ სახელმწიფოთა მძლავრ კოალიციად გაერთიანება ჰიტლერული გერმანიისა და მისი ბლოკის წინააღმდეგ. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ეს არის საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაცია. მისი შექმნის თარიღად სახელდება,1945წლის ივნისი, როდესაც სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე 50სახელმწიფოს მიერ ხელი მოეწერა მის წესდებას.

1945წლის 24 ოქტომბერს კიწესდება ძალაში შევიდა.ეს დღე ყოველწლიურად აღინიშნება, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღე.[53] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებია: 1. დაიცვას საერთაშორისო მსვიდობა და უშიშროება; 2. განავითაროს მეგობრული ურთიერთობა ერებს შორის;

1992 წლის ივლისში საქართველო გაეროს 179-ე წევრი გახდა, რაც გულისხმობს ორგანიზაციის პრინციპებისა და ღირებულებების აღიარებას. საქართველოში 1993 წლის დასაწყისში გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფისი. ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოში მუშაობს გაეროს მრავალი სააგენტო, ფონდი და პროგრამა, იმისათვის, რომ ქვეყნის ერთიანი განვითარება და მოსახლეობის ეკონომიური და სოციალური პირობების გაუმჯობესება მოხდეს. საქართველოს თვალთახედვით, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, საყოველთაო სტაბილურობისა და მშვიდობის უზრუნველყოფის მთავარი ინსტრუმენტია. საქართველოს აზრით, გერომ უფრო მეტი წარმატებით უნდა განახორციელოს სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების განეიტრალებისა და საბოლოოდ მოგვარების საკითხი.ასევე მკაფიოდ უნდა ჰქონდეს გამოხატული საკუთარი დამოკიდებულება სეპარატიზმთან ბრძოლის საკითხში და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ძალებით უნდა აღკვეთოს სეპარატიზმისა და ნაციონალიზმის ნებისმიერ გამოვლინება. წინააღმდეგ შემთხვევაში,უფრო მეტად გართულდება საერთაშორისო მშვიდობისა და

სტაბილურიბოს შენარჩუნება. გლობალიზაციის ეპოქაში, საერთაშორისო მშვიდობის დარღვევამ შესაძლოა სრულ კატასტროფამდე მიიყვანოს როგორც მცირე ასევე დიდი ერები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა ინიციატივა, რომელიც მიმართულია ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ნებისმიერი ხელყოფისაგან დაცვისაკენ,საქართველო ნებისმიერ ამ შინაარსის ინიციატივას მუდმივად მხარდაჭერას უცხადებს.

საქართვრლო აქტიურად თანამშრომლობს გაერო-ს ფარგლებში ისეთი პრობლემების გადაჭრის საკითხში, როგორიცაა: ადამიანის უფლებების დაცვა; ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა; სამშვიდობო ოპერაციები; სისხლის სამართლის შექმნა-ფუნქციონირება და სხვა. საქართვრლო ასევე მხარდაჭერას უცხადებს გაერო-ს „ათასწლეულის დეკლარაციაში“ გაცხადებული მიზნების რეზოლუციას, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლის ზრდას სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრის საკითხში.

საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციას განიხილავს,როგორც გლობალურ დონეზე დემოკრატიის ერთ-ერთი გარანტი.“ დემოკრატიული იტერვენციისაკენ“ მიმართულ გაერო-ს ძალისხმევას მხარს უჭერს საქართველო. აღნიშნული მოიცავს ეკონომიკური და პოლიტიკური ზომების მიზანმიმართულად გატარებას,დამოუკიდებელი სახელმწიფოების დემოკრატიული განვითარების გზაზე.

გაერო-ს სათანადო ძალისხმევა,საქართველოსათვის გლობალიზაციის პროცესს მეტნაკლებად ამარტივებს. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნისვნელოვანესი მიმართულებაა,ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიურ ჩართვას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესში.საქართველო მხარდაჭერას

[53] გაერთიანებული ერების ორგანიზაცია https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90 გვ.1

უცხადებს, ჟენევის სამშვიდობო პროცესის ფარგლებში, ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების გაგრძელებას გაეროს ინიციატივით.

საქართველო დადებით დამოკიდებულებას გამოხატავს დოკუმენტის მიმართ, რომელიც განსაზღვრავს აფხაზეთის, საქართვრლოს სტატუსს. ასევე კონფლიქტის დარეგულირების ჩარჩოებში გამიჯნავს თბილისსა და სოხუმს შორის არსებულ უფლებამოსილებებს. ამავე ჩაჩოში განსაზღვრავს საქართველოს სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში ტერიტორიული მთლიანობის დაცვას.

საქართველოსათვის ყველაზე მნიშვნელოვანია კონფლიქტის რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაცია და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დაბრუნება. საქართველო თანამშრომლობს გაერო-ს ისეთ სპეციფიკურ პროექტებში,როგორიცაა ბირთვული განიარაღება;ადამიანის უფლებათა დაცვა; ჩვეულებრივი შეიარაღების კონტროლი რეგიონულ და სუბრეგიონულ დონეზე;ტერორიზმთან ბრზოლის საკითხები;ეკონომიკური და სოციალური პროცესების გაუმჯობესება და სხვა. საქართველო ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს, გაეროს ისეთ სპეციალიზებულ სააგენტოებთან, როგორიცაა ევროპისატვის გაეროს ეკონომიკური კომისია;გაეროს მრეწველობის განვითარების ორგანიზაცია; გაერო-ს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია; სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია და სხვა. საქართველოსათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მასთან თანამშრომლობის ფარგლებში სპეციალიზებულ სააგენტოებთან თანამშრომლობა ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის, განვითარების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საკითხში ერთ-ერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

3.3 თანამშრომლობა ეუთოსთან

1972წელს დაარსდა გაერთიანება სახელწოდებით „ევროპაში უშიშროებისა და თნამშრომლობის კონფერენცია“,რომელიც 1975წელს ოფიციალურად ჩამოყალიბდა როგორც ორგანიზაცია. ორგანიზაციის წესდებას საფუძვლად დაედო სამი ძირითადი

სამართლებრივი პრინციპი: ტერიტორიული მთლიანობა; საზღვრების ურღვეობა; ადამიანის და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა; ეუთო იყო გაერთიანება, რომელიც ახორციელებდა ევროპაში არსებული დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის დაძაბულობის განმუხტვისა და შენელების პროცესის დროს სამეთვალყურეო სტრუქტურის როლს.

საქართველო ეუთოს მიიჩნევს,როგორც ევროპაში მშვიდობისა და სტაბილურობის ერთ-ერთ საფუძველს. საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის პრინციპები და გადაწყვეტილებები, რომლებიც წარმოდგენილია ორგანიზაციის ფარგლებში გამართული სამიტების დასკვნით დეკლარაციებში.

ეუთო-ს სტამბოლის სამიტზე მიღებულ ხელშეკრულებას,რომელიც მოიცავს ევროპის უსაფრთხოების ქარტიასა და ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ადაპტაციის საკითხს, საქართვრლო თავის უმაღლეს შეფასებას უცხადებს. საქართველოს მთავრობა დადებითად ხვდება,ეუთო-ს მიერ დახმარების მცდელობას, ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების საკითხთან მიმართებაში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ,საქართვრლო-ეუთო-ს ურთიერთობებში კონფლიქტების თავიდან აცილებასა და მათი მოგვარებისაკენ სწრაფვის საკითხზე. ამ კონტექსტიდან გამომდინარე, საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება ეუთო-ს მიერ მიღებული დოკუმენტებისა და გადაწყვეტილებების შესრულებას.

საქართველოსა და რუსეთის მიერ,ეუთო-ს სტამბოლის სამიტზე ერთობლივი განცხადებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, რომელიც გულისხმობს რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანას, წინაპირობას უქმნის ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების რატიფიკაციას. რასაც, საქართველო საკმაოდ დიდ მნისვნელობას ანიჭებს.

საქართველოსათვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ეუთო-ს წევრი ქვეყნები მზად არიან ხელი შეუწყონ, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების შემცირებისა და გაყვანის პროცესს საქართველოს ტერიტორიიდან.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის წარმართვის პროცესში, ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორებიდან ერთ-ერთია ეუთოსთან თანამშრომლობა. საქართველო ამ ორგანიზაციას განიხილავს, როგორც ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის საკვანძო ელემენტს

3.3 საქართველოს თანამშრომლობა შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკურუ თანამშრომლობის ორგანიზაციასა და სუამთან

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ეკონომიკური და პოლიტიკური მიმართულების ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევა შავი ზღვის რეგიონის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციასთან(ბისეკი) თანამშრომლობა. ამ ორგანიზაციაში მონაწილეობა განსაკუთრებით აქტუალური იყო სუამ-ის განვითარების ფონზე. საქართველოსათვის ბისეკთან თანამშრომლობა იყო ერთ-ერთი ალტერნატივა ევროკავშირში ინტეგრაციისათვის. ორგანიზაციაში საქართველოს მონაწილეობის წინაპირობა განპირობებული იყო ბისეკის განსხვავებული ხასიათით, რომელიც განსაზღვრულია რეგიონის დიდი პოტენციალითა და მისი განსაკუთრებულობით. როგორც ყველა დანარჩენ ორგანიზაციებთანთანამშრომლობისას, ბისეკში გაწევრიანებისასაც, საქართველოს მოტივაციას უღვივებს ისევ და ისევ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პერსპექტივა.

1992წლის 25 ივნისს თურქეთის ინიციატივით შეიქმნა შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია. ორგანიზაციასთან თანამშრომლობაზე ხელი მოაწერა შავი ზღვის აუზის 11 სახელმწიფოს წარმომადგენლმა. აღნიშნული დეკლარაცია მიზნად ისახავდა მონაწილე ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის ძირითად პრინციპებს.

1998 წელს ბისეკი ოფიციალურად ჩამოყალიბდა,როგორც საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაცია. ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის მიერ გამოხატული ინტერესი, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მიმართ, ადასტურებს ამ ორგანიზაციის ავტორიტეტის ზრდის ფაქტს.

ბისეკში მონაწილეობის ფარგლებში, საქართველოს,როგორც კავკასიის რეგიონისადმი, ინტერესი მკვეთრად გაიზარდა. მსოფლიო მასმედიის საშუალებებში ფიგურირებს კავკასიის საკითხი. საინფორმაციო საშუალებებში, მას ახასიათებენ, როგორც ყველაზე მოკლე და უსაფრთხო გზას, შუა აზიასა და ევროპის ბაზრებს შორის. ამ კონტექსტში, საქართველო მოაიაზრება, როგორც ამ გზის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთი და ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ რეალობად იქცა უძველესი „აბრეშუმის გზის“ აღდგენის პერსპექტივა. ამასთა, ევროკავშირის დახმარებით ხორციელდება აბრეშუმის გზის გაყოლებაზე თანამედროვე სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დანერგვა, რომელიც თავისი მასშტაბით მსოფლიო მნისვნელობას იძენს.

1998წლის ოქტომბერში საქართვრლომ დანარჩენ ოთხ ქვეყანასთან ერთად(თურქეთი,ყაზახეთი,უზბეკეთი,აზერბაიჯანი) ხელი მოაწერა ანკარის დეკლარაციას, რომელის თანახმადაც პოლიტიკური მხარდაჭერა გამოუცხადა ნავთობის-ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მარშრუტით ტრანსპორტირებას.

1998-1999წლებში შავი ზჭვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის თავჯდომარე ქვეყნა იყო საქართველო. ბისეკთან თანამშრომლობის ფარგლებში, ევროპასთან ინტეგრაციის გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯად ითვლება, თბილისის სამიტზე, ორგანიზაციის მიერ მიღებული ბისეკსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის პლატფორმა. 2000-2002 წლებში შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციამ, ნელნელა მიიღო კონკრეტულ პროექტებზე ორიენტირებული ორგანიზაციის სახე. საქართველოს ინიციატივა იყო, ქვეყანაში შექმნილიყო რეგიონალური ცენტრი, რომელიც განავითარებდა შავი ზღვის აუზის სატრანსპორტო დერეფანს, ასევე უზრუნველყოფდა შავი,კასპიისა და ხმელთაშუა

ზღვების სახელმწიფოების ბუნებრივი რესურსების უსაფრთხო ათვისებას. 2002წლის 24 ივნისს, ორგანიზაციის ათი წლისთავის აღსანიშნავად,შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრები შეიკრიბნენ სტამბოლში,სადაც შეაჯამეს განვლილი პერიოდის მუშაობის შედეგები და განიხილეს სამომავლო გეგმები. ბისეკმა არსებობის ათი წლის მანძილზე, შეძლო გამხდარიყო საერთაშორისო დონეზე აღიარებული ორგანიზაცია. თანამშრომლობის ფარგლებში, მისმა წევრებმა შეძლეს განევითარებინათ მრავალმხრივი თანამშრომლობა. ამასთანავე, მჭიდრო კავშირები დაამყარეს ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ჯანმრთელობის დაცვის, ტურიზმის, მრეწველობისა და ვაჭრობის, საბანკო და საფინანსო და სხვა სფეროებში.ბისეკის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერ, მკაფიოდ იყო გამოხატული ინტერესთა თანხვედრის ფართო სპექტრი, უფრო კონკრეტულად კი ევროკავშირთან ურთიერთობის საკითხი,ასევე ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროებში თანამშრომლობა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და სხვა. ამის შემდეგ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციამ დაიწყო იმაზე ზრუნვა, რომ გადასულიყო საბაზრო ეკონომიკაზე, ასევე ამისათვის საჭირო იყო, დემოკრატიულკი ინსტიტუტების მშენებლობა, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, კანონის უზენაესობის დამკვიდრება, რეგიონული ინტეგრაცია, რაც საფუძველს ჩაუყრიდა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ახალ მსოფლიოში საკუთარი ადგილის ძიებისა და თავის დამკვიდრების პროცესს. ამ მიმდინარე პროცესში ეხმარებოდა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. ბისეკის წევრი სახელმწიფოების ხელმძღვანელების რიგგარეშე სამიტზე მიღებულ იქნა ორგანიზაციის წესდება.

რიგგარეშე სამიტზე მიღებული წესდების თანახმად,ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა გამოაცხადეს, რომ ისინი მზად არიან შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის რეგიონში მშვიდობის სტაბილურიბისა და კეთილდღეობის დამკვიდრების მიზნით, ხელი შეუწყონ ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის, ასევე საერთაშორისო სამართლის პრონციპების განვითარებას.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციამ, დაიწყო ზრუნვა მთავარი და დამხმარე ორგანოების შექმნის საკითხზე, მათ შორის იყო საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო.

აღნიშნული წესდების თანახმად,მთავარი და დამხმარე ორგანოების მოქმედი თავმჯდომარე მისეკის ფარგლებში, უზრუნველყოფს ბისეკის საქმიანობის სათანადო წარმართვას და მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებას. სტამბოლში მდებარეობს ორგანიზაციის მუდმივი საერთაშორისო სამდივნო, რომელიც მხოლოდ მოქმედი თავმჯდომარის ხელმძღვანელობით განახორციელებს ნებიესმიერი სახის ქმედებას. ექვს თვეში ერთხელ, ინგლისური ანბანის მიხედვით, როტაციის წესით გადაიცემა თავმჯდომარეობა.

„შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია“ მუდმივ მზადყოფნაშია, მჭიდრო კავშირი იქონიოს ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეასთან. „ბისეკის“ რეგიონში მცხოვრები ხალხის ეკონომიკური აღმავლობის,ხეგიონული პროექტების დაფინანსების ხელშეწყობის, წევრი ქვეყნების სახელმწიფო და კერძო სექტორების მომსახურების უზრუნველყოფისა და ასევე სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების მიზნით,ორგანიზაციაში ყალიბდება შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი. “შავი ზღვის ეკონომიკური ორგანიზაციის“ ბიუჯეტი შედგება წევრი სახელმწიფოების ფინანსური შენატანებით, რომელიც ორგანიზაციის საბჭოს რეზოლუციებით არის განსაზღვრული.

თბილისში გაიმართულ შავი ზღვის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, რომ ბისეკმა 7 წლიანი დაუღალავი,აქტიური და ნაყოფიერი საქმიანობის შედეგად სრულიად ახალი მნიშვნელობა შეიძინა. რეგიონული თანამშრომლობის ორგანიზაციიდან საერთაშორისო ორგანიზაციად ინტეგრაციის პროცესი წარმატებით დასრულდა. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაციების შემადგენლობის სრულუფლებიანი წევრი გახდა.

სუამი და საქართველო

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გახდა რეგიონული თანამშრომლობის განვითარების ეფექტური მექანიზმების ძიება. ამგვარი მექანიზმების შექმნის ძირითადი პირობებია გათვალისწინებულ იქნას, მონაწილე ქვეყნების ინტერესები, აგრეთვე რეგიონებს მიეცეთ სტაბილურობისა და განვითარების მიღწევის შესაძლებლობა.საქართველო აქტიურად ეძებს პარტნიორებს იმ ქვეყნებს შორის, რომლებსაც აქვთ საერთო ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებები.

უპირველეს ყოვლისა, ეს არის სახელმწიფოები, რომლებსაც საერთო ისტორია აქვთ საქართველოსთან და რომლებიც პოსტსაბჭოთა სივრცისათვის დამახასიათებელი არსებული პრობლემების წინაშე დგანან.

ამავდროულად, საქართველოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტია დსთ-ს ქვეყნებთან კავშირების გაძლიერება, რომლებიც თავიანთ ვალდებულებას აცხადებენ ისეთ საკითხებში როგორიცაა, დემოკრატიული ფასეულობების დაცვა,გეოპოლიტიკური სიტუაციის გაგება და რეგიონში სახელმწიფოს როლის განსაზღვრა.

რეგიონალურ მეზობლებთან ძლიერი ალიანსების შექმნით, საქართველო მნიშვნელოვნად ზრდის შანსებს ევროპულ და ევროატლანტიკურ ქვეყნებში წარმატებული ინტეგრაციისთვის.

1997 წლის 10 ოქტომბერი ოთხი ქვეყნიდან: საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა. მათი პრეზიდენტები სტრასბურგში ევროპის საბჭოს სამიტის ფარგლებში შეხვდნენ ერთობლივ კომუნიკას, რომელშიც მონაწილეობდნენ შემდეგი სტრატეგიული მიმართულებებით: ტრანსპორტისა და კომუნიკაციების განვითარება, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება, რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებში თანამშრომლობა . 2001 წლის 7 ივნისს, იალტის სამიტზე, სუუამს ოფიციალური სტატუსი მიენიჭა და მისი

სტრუქტურა, მიზნები და პრინციპები განისაზღვრა.1999-2005 წლებში მის შემადგენლობაში უზბეკეთის შესვლით ეს ჯგუფი „სუუმად“ დასახელდა.

საქართველოს რეგიონალურ თანამშრომლობაში

სუამ-ში საქართველოს გაწევრიანების საკითხზე საუბრის დაწყებამდე სასურველია იმის გარკვევა, რეგიონული თანამშრომლობის ფარგლებში რა სარგებელის მომტანი შეიძლება ყოფილიყო საქართველოს სუამ-ში გაწევრიანება.

ბოლო წლებში ჩვენ შევქმენით საქართველოს მუდმივი მზარდი ინტერესი იმ ქვეყნებთან თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმებში, რომლებიც მის შეხედულებებს იზიარებენ სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მისი საგარეო პოლიტიკის პრობლემების მოგვარების საკითხში. ძლიერი რეგიონალური კავშირების განვითარება, რომელიც მხარს უჭერს საქართველოს მისწრაფებებს ევროატლანტიკურ სივრცეში, განიხილება როგორც მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც ხელს შეუწყობს ნატო-სა და ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებას. საქართველო ცდილობს რეგიონული თვითმყოფადობის მოპოვებას, ამასთანავე არ ავიწყდება ქვეყნის მთავარი მიზანი-საერთაშორისო სტრუქტურებში გაწევრიანება. რეგიონული თვითმყოფადობის მოსაპოვებლად, სტრატეგიულად საკვანძო მნიშვნელობის, მოწყვლად ტერიტორიას წარმოადგენს შავი ზღვის აუზი და იქ არსებული მიმდებარე და უშუალო მეზობელი ქვეყნები,რომელსაც დღეს დიდი შავი ზღვის რეგიონს (BCR) უწოდებენ.

ამ კავსირს საფუძველი ჩაუყარა, საქართცელოსა და მისი უშუალო მეზობელი ქვეყნების ინტერესთა თანხვედრამ შემდეგ საკითხებში: დასავლური ორიენტაცია და რუსეთის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება, უფრო კონკრეტულად კი საქართცელოსა და აზერბაიჯანისათვის დამატებით მაპროვოცირებელი იყო რუსეთის როლი აფხაზეთისა და ყარაბაღის კონფლიქტებში. საქართველოსათვის ეს გაწევრიანება იყო იმედი, რუსეთის მიერ დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ევროინტეგრაციისაკენ მიმავალი უსაფრთხო გზის შექმნა.[54]

1997წლის გაზაფხულზე საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა დააფიქსირეს, რომ მათი თანამშრომლობა სუამის ფარგლებში მხოლოდ ეკონომიკურ ხასიათს ადარებდა და არ იყო საუბარი ანტირუსულ პოლიტიკურ განწყობაზე.

ამავე წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ცხადყო ახალი პოლიტიკური კურსი კავკასიისა და ცენტრალური აზიისადმი. შედეგად გზა გაეხსნა ბაქო-თბილისი-კიევის კავშირს, რამაც სხვა პოტენციური წევრების ყურადღება და ინტერესი გამოიწვია. სუამ-ის თანამშრომლობის ფარგლებში, საქართვრლოს ტერიტორიაზე გაიმართა სამხედრო სწავლება, სადაც მონაწილეობას იღებდნენ აზერბაიჯანის, უკრაინისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები.

1999 წელს ორგანიზაციაში გაწევრიანების სურვილი გამოთქვა უზბეკეთმა და ამ წლის აპრილში გახდა მისი წევრი, რის შემდეგაც ორგანიზაციას სუუამი დაერქვა და 2005წლამდე ის ორგანიზაციის წევრად ითვლებოდა.

1998წლის 16 სექტემბერს თბილისში ხელი მოეწერა ოქმს,რომელიც ეხებდა სასაზღვრო საკითხებზე თანამშრომლობას.

1999წლის 10მარტს თბილისში,როდესაც ერთმანეთს ხვდებოდნენ ბისეკ-ის ქვეყნები, ასევე გაიმართა სუამ-ის წევრი ქვეყნების წარმომადგენელთა კონსულტაცია. ამავე წლის 28-30 ივნისს, საქართველოში იმყოფებოდა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი,რომელმაც ისაუბრა, უკრაინის როლზე აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში.

2002წლის 24-25 იანვარს, სუამ-ის კოორდინატორთა რიგით მერვე შეხვედრა ჩატარდა თბილისში. 2007-2015წწ-ში სუამ-ის გენერალური მდივანი გახლდათ ვალერი ჩეჩელაშვილი.

2008წელს ქ.ბათუმში პრეზიდენტების დონეზე სუამ-ის ბოლო სამიტი გაიმართა. სუამ-ის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით 2017 წლის 8ოქტომბერს გაიმართა სუამ-ის საგანგებო მინისტერიალი. ამავე წელს საქართველო ორი წლის ვადით დაინიშნა, როგორც სუამ-ის თვჯდომარე ქვეყანა. აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღეს ეუთო-ს

მინისტერიალის ფარგლებში, სუამ-ის წევრი ქვეყნების წარმომადგენლების საბჭოს სხდომაზე. დღეისათვის კი, საქართვრლო 2019-2020წწ-ს საგანგებო სიტუაციების კოორდინატორია.[55]

3.4 ექსპერტთა შეხედულებები ევროკავშირის საქართველოს პროდასავლური კურსის შესახებ

თემასთან დაკავშირებით გამოკითხულ იქნენ ექსპერტები, კერძოდ:

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტოლოგი **პეტრე მამრაძე;**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომისტი, იურისტი **ბესიკ ალადაშვილი;**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი,საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსართხოების ექსპერტი **ლევან ნიკოლეიშვილი;**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, უსაფრთხობის ექსპერტი **დავით კუხალაშვილი.**

---

[54] ვახტანგ მაისაია-საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები და დეტერმინანტები ცივი ომის შემდეგ(1991-2004) სუუამი და საქართველო 40გვ.

[55] სუამის შესახებ http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/GUAM/About-GUAM.aspx

შეკითხვა 1.

- თქვენი აზრით, რა გავლენა იქონია აღმოსავლეთ პარტნიორობის შეთანხმებამ პოსტსაბჭოთა საქართველოს დასავლური არჩევანის გაკეთებაზე და მის შემდგომ ნაბიჯებზე?

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომისტი, იურისტი ბესიკ ალადაშვილი მიიჩნევს, რომ ეს იყო ურთიერთობის გადაყვანა ახალ ეტაპზე:

„ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში იყო დაპირებები, სხვადასხვა ქვეყნის ხელმძღვანელების ვიზიტები, მაგრამ მხოლოდ 2000 წლის შემდეგ მიიღო ამ ყველაფერმა ფორმალური სახე, რაც გულისხმობდა ხელშეკრულებების გაფორმებას, შეთანხმებებს და მრავალმხრივ ურთიერთობებს. სწორედ ამ პერიოდიდან აღიქვა ევროპამ საქართველო, როგორც პარტნიორი. 1992 წლიდან 2000 წლამდე თანამშრომლობის ხელშეკრულება არ იყო ბოლომდე ფორმირებული, რისი მიზეზიც იყო სახელმწიფო კრიმინალის დონე, კორუფცია, ეკონომიკური ჩამორჩენა და გარკვეულწილად რუსეთის გავლენა სახელისუფლებო შტოების ფორმირებაში“.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტიკის ექსპერტი **ლევან ნიკოლეიშვილი** თვლის, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის შეთანხმებამ პოსტსაბჭოთა საქართველოს დასავლური არჩევანის გაკეთებაზე და შემდგომ ნაბიჯებზე ძალიან დიდი გავლენა იქონია. ნიკოლეიშვილის აზრით, საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან დაიწყო სხვადასხვა ორიენტირების ძიება და თავდაპირველად, არ იყო ჩამოყალიბებული დასავლურ კურსს აირჩევდა თუ რუსეთის ზეგავლენის ქვეშ დარჩებოდა. შემდგომში, საქართველომ ნელ-ნელა განსაზღვრა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი და აირჩია დასავლური გზა.

„ამ შემთხვევაში, საქართველოსთვის სამაგალითო აღმოჩნდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეალურად მიიღეს ის სიკეთეები, რასაც ჰქვია NATO-ში და ევროკავშირში გაწევრიანება. გარდაქმნებმა, რეფორმებმა და დემოკრატიულმა პროცესებმა საქართველოსაც მისცა ბიძგი, რომ ამ გზით წასულიყო. მეორე ფაქტორი იყო ის, რომ საქართველოში არსებული კონფლიქტებიდან გამომდინარე, დავდექით რუსეთის გავლენიდან თავის დაღწევის აუცილებლობის წინაშე. იგივე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტის გადაჭრის შესახებ მრავალჯერ დადებული პირობა რუსეთმა არ შეასრულა, რამაც ბიძგი მისცა საქართველოს, ქვეყნის დასავლურ პოლიტიკურ კურსზე გაეკეთებინა არჩევანი“.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, უსაფრთხოების ექსპერტი- **დავით კუხალაშვილი** აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის შეთანხმებამ ნამდვილად იქონია გავლენა საქართველოზე და მის დასავლურ არჩევანზე:

„გავლენა იყო ის, რომ საქართველოში მოხდა კონფლიქტის ესკალაცია, საქართველო იქცა სახელმწიფოთა შორის ინტერესთა გადაკვეთის წერტილად და შესაბამისად დაინტერესებასთან ერთად დამაზიანებელი ზეგავლენის მასშტაბებიც გაიზარდა.“

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტოლოგი **პეტრე მამრაძე** თვლის, რომ შეიძლება აღმოსავლეთ პარტნიორობის შეთანხმებამ პოსტსაბჭოთა საქართველოს დასავლური არჩევანის გაკეთებაზე დიდი გავლენა არ იქონია, მაგრამ ამბობს, რომ უდავოდ დადებითია.

„პირველ რიგში, ძალიან დიდ სტიმულს აძლევს საქართველოს ელიტას, მოსახლეობის დიდი წრეს, რომ ეს რეალურია და საქართველო ადრე თუ გვიან დაიმკვიდრებს თავის ღირსეულ ადგილს ევროპულ ოჯახში.“

შეკითხვა 2.

- მოუტანა თუ არა რაიმე სახის სარგებელი საქართველოს დასავლურმა არჩევანმა პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით?

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომისტი, იურისტი **ბესიკ ალადაშვილი** მიიჩნევს, რომ ერთი შეხედვით ნათელია ამ კითხვაზე პასუხი.

„თუ ჩავატარებთ გამოკითხვას რეგიონებში, სადაც სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, ამ კითხვაზე სხვადასხვა პასუხს მივიღებთ. ქართველ ერს სასწავლი აქვს დისციპლინა, შრომისმოყვარეობა და ქვეყნის სიყვარული. დასაცავი გვაქვს კულტურა და ენა. ყველაზე საყურადღებოა ის ფაქტი, თუ რატომ ხდება დასავლური ღირებულებების გარკვეულწილად ნეგატიურ ასპექტში გადატანა და რატომ არის ნოსტალგიის განცდა საბჭოთა კავშირის მიმართ არამარტო ასაკოვან თაობაში, არამედ იმ თაობებშიც, რომლებსაც საბჭოთა კავშირში არ უცხოვრიათ. სამწუხაროდ, ხშირად, რომელიმე ხელისუფლების წარუმატებლობა ან არასწორი ნაბიჯი ეკონომიკაში თუ პოლიტიკაში, ყოველთვის მიეწერება დასავლურ კურსს, არა ხელისუფლების უუნარობას და შეცდომას არამედ სახელმწიფოს მიერ არჩეულ კურსს.“

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტიკის ექსპერტი- **ლევან ნიკოლეიშვილი** აღნიშნავს: „მთავარია ის, რომ ჩვენ გვაქვს ვალდებულება გარკვეული სახის რეფორმები განვახორციელოთ როგორც პოლიტიკური ასევე ეკონომიკური კუთხით, რათა გავხდეთ „დასავლური ქვეყნების პოლიტიკური კლუბის წევრი“,

იმისათვის, რომ მივიღოთ ჩრდილო-ატლანტიკური ინტეგრაციის საბოლოო სახე. აქედან გამომდინარე, ეს რეფორმები ჩვენ გვაძლევს საშუალებას, რომ ერთ მხრივ, ფორმაში ვიყოთ და მეორე მხრივ, პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებებით გარკვეული განვითარება მივიღოთ."

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, უსაფრთხოების ექსპერტი **დავით კუხალაშვილი: „საქართველოს დასავლური არჩევანი პოლიტიკური და ეკონომიკური კუთხით მომგებიანი იყო თუ არა, ჯერჯერობით ვერ ვიტყვით, გამომდინარე იქიდან, რომ ჯერ საბოლოო შედეგი არ გვაქვს მიღებული. თუმცა გადაწყვეტილება, რომ დასავლური მიმართულებით ჩვენ გარკვეული ნაბიჯები უნდა გადაგვედგა, ვთვლი, რომ სწორი იყო."**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტოლოგი **პეტრე მამრაძე** ფიქრობს, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით დასავლური არჩევანი უაღრესად მომგებიანია.

„ფაქტი, რომ დღეს არსებობს სუვერენული, დამოუკიდებელი საქართველო, მრავალი თაობისათვის, უბრალოდ, წარმოუდგენელი იყო. დიდი მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე ამბობდა - „ვიდრე საქართველოს აღმოსავლეთიდან კასპიის ზღვა დასავლეთიდან კი შავი ზღვა ესაზღვრება, მანამდე საქართველოს დამოუკიდებლობა არ ეღირსება" - ჩვენი დიდი მოღვაწე ამას გეოპოლიტიკური სურათიდან გამომდინარე ამბობდა. მსოფლიოში ძალთა ბალანსი რომ არ შეცვლილიყო, ეს არ მოხდებოდა. დასავლეთთან ურთიერთობა და დასავლური ღირებულებები საქართველოსთვის ძალიან სასარგებლოა. დღეისათვის ჩანს, რომ ევროგაერთიანების ქვეყნებში ქართული პროდუქტის ექსპორტი იზრდება და ამით მყარი ვალუტის მიღება ხდება, რაც დიდი სტიმულია ქვეყნისთვის."

შეკითხვა 3.

- რა მოსალოდნელი სიკეთეებს ან საფრთხეების შემცველი შეიძლება იყოს ვიზა-ლიბერალიზაცია საქართველოსთვის?

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომისტი, იურისტი **ბესიკ ალადაშვილი** აღნიშნავს, რომ ვიზა-ლიბერალიზაციის საშუალებით უფრო მეტ ადამიანს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს აქვთ საშუალება გაეცნონ უცხოელ თანატოლებს, მათი ცხოვრების წესს.

„ვიზა-ლიბერალიზაცია სწავლის მიღების, მეტი ინფორმაციის მოპოვების, ტექნოლოგიების გაცნობის საშუალებას იძლევა. ვიზა-ლიბერალიზაციის დადებითი მხარე არის მეტი ალტერნატიული გზა, რომელიც მან მოგვცა. რაც შეეხება საფრთხეს, წესია - ზღვაში დაკარგულებს რომ პოულობენ, მათთვის არ შეიძლება უცბად წყლისა და საკვების მიღება, რადგან ორგანიზმი მიუჩვეველია, - ასე არ შეიძლება ჩვენთვისაც ყველაფრის შეხება, რადგან „ყველაფერში ზედმეტმა თავისუფლებამ თავბრუსხვევა იცის". თუმცა, მაინც ეს გზა გასავლელია და წიგნებიდან და ფილმებიდან ამის სწავლას, უმჯობესია, ცხოვრებაში გამოცადონ ყველაფერი. გლობალიზაციისათვის დამახასიათებელი საფრთხეა კულტურის აღრევა, სამწუხაროდ, დომინანტობენ ფინანსურად უზრუნველყოფილი სფეროები, რაც ასევე საფრთხის შემცველია."

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტიკის ექსპერტი **ლევან ნიკოლეიშვილი** ფიქრობს, რომ ვიზა-ლიბერალიზაციის დადებითი მხარე არის ის, რომ ე.წ. ბიუროკრატიული მექანიზმები შემაფერხებელი აღარ იქნება.

„ვიზა-ლიბერალიზაციის დადებითი მხარე არის ის, რომ ე.წ. ბიუროკრატიული მექანიზმები აღარ არის ჩვენთვის შემაფერხებელი, მაგრამ ამავდროულად მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს ინფორმაცია, თუ რას ითვალისწინებს ვიზა-ლიბერალიზაცია, ადამიანებს მაინც სხვანაირი წარმოდგენა აქვთ. ძალიან ბევრი მაინც მიდის საზღვარგარეთ სამუშაოდ, დასარჩენად, არადა ეს არის პირველი ეტაპი იმისა, რომ შემდგომში ჩვენ მივიღოთ ლეგალური მუშაობის უფლება, მაგრამ ამისათვის ჩვენ არ უნდა დავარღვიოთ ის პროცედურები, რომლებსაც ვიზა-ლიბერალიზაცია ითვალისწინებს. უამრავი ქვეყნიდან აძევებენ ადამიანებს იმის გამო, რომ მათ ეს ყველაფერი არასწორად გაიგეს. მოდით, პირობითად ასე დავარქვათ - ნორმალური ადამიანებისათვის, რომლებსაც სწორად აქვთ გააზრებული თუ რას ნიშნავს საერთოდ ვიზა-ლიბერალიზაცია, ეს არის შანსი თავისუფლად მიიღონ სასურველი ცოდნა, ისე რომ არ მოუწიოთ ე.წ. ბიუროკრატიული პროცესების გავლა. ასევე ეს არის შანსი, რომ შემდგომში მივიღოთ ლეგალური მუშაობისა და ცხოვრების უფლება, თავისუფლად გადაადგილებისა და სხვა სიკეთეებისა რომელიც იმ ქვეყნებში არსებობს.“

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, უსაფრთხოების ექსპერტი დავით კუხალაშვილი: „თუ ვიზა-ლიბერალიზაციის საფრთხეებზე ვისაუბრებთ, არ გამოვრიცხავ, რომ შესაძლებელია ეს გახდეს შრომისუნარიანი, მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანების ქვეყნიდან მასშტაბურად გადინების საფუძველი, რაც გარკვეულწილად გამოიწვევს ქვეყნის დაუძლურებას. საქართველოსთვის ვიზა-ლიბერალიზაცია სასიკეთო იქნება იმ შემთხვევაში, თუ ეს პროცესი ისე განვითარდება, როგორც არის ჩაფიქრებული და დაწესებულ ვადაში დაბრუნდებიან ადამიანები ქვეყანაში. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია მნიშვნელოვანი სახის გამოცდილების მიღება. პოლიტიკური, ეკონომიკური სამხედრო და სამეცნიერო კულტურის მიმართულებით ინფორმაციის გაცვლა დადებითად აისახება ქვეყანაზე, მაგრამ თუ ამ გზას ადამიანები გამოიყენებენ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, არ იქნება ქვეყნის უსაფრთხოებისთვის დადებითი შედეგის მომტანი, რაც საბოლოო ჯამში

ასახვას ჰპოვებს საკადრო პოლიტიკაზე, რომელიც ისედაც უდგას დღევანდელ სახელმწიფოს.“

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტოლოგი **პეტრე მამრაძე: „არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამო, ძალიან ბევრმა ადამიანმა მიიღო საქართველოს დატოვების გადაწყვეტილება და ვიზა-ლიბერალიზაციის ამოქმედებით ისარგებლა. ბევრმა ადამიანმა დაარღვია კანონი და მაგალითად გერმანიის რომელიმე ცნობილ ქალაქში შეიძლება წააწყდეთ წარწერას - „ერიდეთ ქართველებს, ისინი ყაჩაღები არიან“. გადაჭრით მაინც ვერ ვიტყვით, რომ ამას მხოლოდ ვიზა-ლიბერალიზაციამ შეუწყო ხელი, თუმცა, მოსახლეობის მასობრივი გადინების ხელშემწყობი ფაქტორი ნამდვილად არის.“**

შეკითხვა 4.

- იყო თუ არა ამ სამეზობლო პოლიტიკის ლოგიკური დასასრული საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა და ვიზა-ლიბერალიზაცია?

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ეკონომისტის, იურისტის **ბესიკ ალადაშვილის** აზრით ეს არის ხიდი, გზა ევროპამდე.

„მინდა, ყველამ კარგად აღიქვას, რომ ევროკავშირი და ევროპის დღევანდელი კონსტრუქცია ერთ დღეში არ შექმნილა. ჯერ კიდევ 50-იანი წლებიდან მიმდინარეობდა ამაზე მსჯელობა და მაშინ ჩაეყარა საფუძველი. ევროკავშირის ჩამოყალიბებამდე ევროპელმა ხალხმა დიდი გზა გაიარა. ჩვენც საკმაოდ დიდი გზა გვაქვს გასავლელი მენტალობით, ეკონომიკური კუთხით, მეწარმეობის დონით. ასე რომ, ეს არის ხიდი, რომელზეც მივდივართ და საბედნიეროდ, ჯერ გზას დასასრული არ უჩანს.“

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტიკის ექსპერტი- **ლევან ნიკოლეიშვილი:**

„ეს არის საწყისი ეტაპი ჩვენი მომავალი ინტეგრაციისა, რომლის საშუალებითაც საქართველოს მოქალაქეები საზღვარგარეთ ლეგალური მუშაობის უფლებას მიიღებენ და მათთვის იმოქმედებს გარკვეული სახის სოციალური პაკეტი, რომელიც გულისხმობს ადამიანის უფლებების გარანტირებულად დაცვას. ჩვენ ხშირად ვიღებთ ინფორმაციას არალეგალების შესახებ, რომლებიც მუშაობენ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში და იქ მიყენებული ზიანისა თუ შექმნილი პრობლემის მოსაგვარებლად მიმართავენ სახელმწიფოს. ამ შემთხვევაში კი ეს პრობლემა მოიხსნება და უკვე კანონიერად იქნება გაწერილი იქ მომუშავე ადამიანების უფლებების დაცვა. სწორედ ასე გავხდებით თანასწორუფლებიანი ევროპული ოჯახის წევრი.“

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, უსაფრთხოების ექსპერტი- დავით კუხალაშვილი:

„უცხო ქვეყნებისათვის, ამ შედეგამდე მისვლის მაორგანიზებელი ქვეყნების ინტერესის დასასრული იყო. ხოლო ჩვენი ქვეყნისათვის ეს იყო იმ ხანგრძლივი პროცესის შედეგი და ინტეგრაციის გზის ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი.“

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტოლოგი **პეტრე მამრაძე: „2014 წელს იანუკოვიჩი ხელს აწერდა ისეთივე ასოცირების ხელშეკრულებას. ისმის კითხვა, უკრაინა, რომელიც ცნობილი იყო როგორც უაღრესად კორუმპირებული ქვეყანა, როგორ აღმოჩნდა ამ პარტნიორობის ჩარჩოებში ჩვენზე წინ მოლდოვასთან ერთად? რა მოხდა წინა ხელისუფლები ან რეჟიმის ბოლო წლებში? მოხდა ის, რომ ძალიან მკვეთრ, მკაფიო პირობებს უყენებდნენ საქართველოს და არაფერს**

აკეთებდნენ ამ პირობების დასაკმაყოფილებლად ეხებოდა ეს მონოპოლიასა თუ ადამიანის უფლებებს. ევროპის საბჭოს თავმჯდომარე ჰელგა ნოვოტნი თავის ნაშრომებში წერდა, რომ საქართველოში მასობრივად ირღვევა ადამიანის უფლებები, რომ ბიზნესი არის ტერორის ქვეშ და ბიზნესმენებს აიძულებენ, მთელი თავისი ბიზნესი ხელისუფლებას გადასცენ. ბიზნესმენებიც თანხმდებოდნენ ამას, რათა თავიდან აეცილებინათ სასტიკი მოპყრობა, რომელიც იმ პერიოდში საქართველოს ციხეებში არსებობდა. ამ ფონზე, უცებ აღმოჩნდა, რომ მთელ საპარტნიორო პროგრამაში საქართველოზე ლაპარაკი არ არის და მერე აღმოვჩნდით ლიდერები, რადგან მოხდა გარკვეული ძვრები. ასე რომ პარტნიორობის პროგრამა კარგია, მაგრამ მთავარია, შენ როგორ მოქმედებ ამა თუ იმ პროგრამის ჩარჩოებში, რას ხედავს შენი პარტნიორი, რომელზეც დამოკიდებულია რა სტატუსს მოგანიჭებს. ამიტომ ამან დადებითად იმოქმედა მხოლოდ მაშინ, როდესაც ის სასიკეთო ცვლილებები მოხდა, რამაც შესაძლებელი გახადა ხელის მოწერა.“

შეკითხვა 5.

- რა პერსპექტივების მომტანი შეიძლება იყოს ღიად დაფიქსირებული დასავლური პოლიტიკური არჩევანი პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული სახელმწიფოებისათვის?

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომისტი, იურისტი, მეცნიერი ბესიკ ალადაშვილი:

„ის ქვეყნები, რომლებსაც ღიად აქვთ დაფიქსირებული დასავლური არჩევანი, საფრთხის ქვეშ არიან, რადგან დასავლური კურსის ღიად დაფიქსირება ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის გაღიზიანებას იწვევს. რუსეთი დღესაც თვლის, რომ ყოფილი სოციალისტური ბანაკი არის კვლავ მისი ეროვნული ინტერესების სფერო. რუსეთი ყველანაირად ეცდება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, რომლებსაც ღიად აქვთ დაფიქსირებული დასავლური კურსი, შეუქმნას პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნიკური, რელიგიური პრობლემები,

რათა მოხდეს მათი დაცილება დასავლური ღირებულებებიდან და მეორე - ყველაფერი გააკეთოს, რათა მოახდინოს დასავლური ღირებულებების დისკრედიტაცია.“

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტიკის ექსპერტი ლევან ნიკოლეიშვილი: „არჩევანის გაკეთება ძალიან კარგია, მაგრამ იმისათვის, რომ გქონდეს პერსპექტივა, საჭიროა მუშაობა, რეფორმების განხორციელება და დასრულება. ყველა რეფორმა არის ძალიან მტკივნეული პროცესი. თუ სახელმწიფომ არ მოახდინა ამ რეფორმის არსის სწორად მიწოდება ამან შეიძლება მიგვიყვანოს ძალიან ცუდ შედეგამდე, რომელიც შემდგომ იწვევს ნოსტალგიას. ამასთანავე, რეფორმის განხორციელება ნიშნავს რაიმე ახლის, უკეთესის გაკეთებას, შესაბამისად, თუ რაიმე ახალი კეთდება, ქვეყანა გადადის ახალ სტანდარტზე, ცხადია, უჩნდება პერსპექტივა, გახდეს დასავლური ოჯახის სრულუფლებიანი წევრი. ამას სჭირდება მუდმივად ფორმაში ყოფნა. ასევე, მიუხედავად უარყოფითი დამოკიდებულებისა, ნებისმიერი პოსტსაბჭოთა ქვეყნის მოქალაქე თვლის, რომ გარკვეული სტანდარტებით ჩვენ ბევრად წინ ვართ, ვიდრე მათი ქვეყნები და ეს არის სწორედ ღიად დაფიქსირებული დასავლური არჩევანის შედეგი.“

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, უსაფრთხოების ექსპერტი დავით კუხალაშვილი: ამბობს,რომ ამ ქვეყნებს და მათი ეროვნული უსაფრთხოების სისტემებს მოელით განსაკუთრებული აქტივობებით,იმ სახელმწიფოებისაგან და სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან სადაზვერვო საქმიანობის გააქტიურება,რომლებიც დაინტერესებულნი არიან,რომ იმ სახელმწიფოებში რომლებსაც ღიად აქვთ დაფიქსირებული დასავლური პოლიტიკური არჩევანი არ განვითარდეს დასავლური მიმართულება.რომლიც,სხვა დანარჩენთან ერთად გამოიწვევს სუვერენიტეტის,ტერიტორიული მთლიანობისა და ადამიანის უფლებების რღვევას.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტოლოგი პეტრე მამრაძე:

„ვითარება მწვავდება იმით, რომ რუსეთის ხელისუფლება 20 წლის განმავლობაში, თვითმპყრობელი მმართველი პუტინის, „კაგებეს“ და „ცეკას“ წიაღიდან ამოსული ოფიცრების გარემოცვაში იმყოფება. მათთვის ძალიან გულსატკენია, როდესაც რომელიმე ყოფილი პოსტსაბჭოური რესპუბლიკა დასავლეთისკენ იყურება. ამას რაციონალური ახსნა არ გააჩნია. ნებისმიერი ობიექტური რუსი მოღვაწე კერძო საუბრებში მაინც გეტყვით, რომ უფრო დაცული და მშვიდი საზღვარი ბალტიის ქვეყნებთან, რომლებიც არიან ევროგაერთიანების და NATO-ს წევრები, რუსეთს არ აქვს. მაშინ რატომ არ უნდა უნდოდეს სხვა სახელმწიფოების დასავლური პოლიტიკური არჩევანი?! ეს არის ირაციონალური კომპლექსი იმისა რომ, ის ვეღარ მართავს ამ სივრცეს და მისი პოლიტიკური ნება არ იქნება გადამწყვეტი. ევროპასთან ხელმოწერა და ურთიერთობა იატაკქვეშეთიდან პრინციპულად შეუძლებელია. მაგრამ მეორეა, ფორმა არსებობს ყველაფრის და არსებობს სიხშირე. წინა ხელისუფლების დროს მეკითხებოდნენ - თუ მართლა გინდათ NATO-ში შესვლა, რატომ აცხადებს თქვენი პრეზიდენტი ამას დღეში სამჯერ? ეს უაღრესად აღიზიანებდა რუსეთს, იწვევდა ევროპის უკმაყოფილებას და ტოვებდა ყოვლად უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას. გამომდინარე აქედან, დასავლური პოლიტიკური კურსის ღიად დაფიქსირება საჭიროა, მაგრამ მაქსიმალურად სწორი ფორმით, შესაბამისი დიპლომატიის გატარებით, რომელიც არ გამოიწვევს მოწინააღმდეგის გაღიზიანებას, აუცილებლად გამოიღებს შედეგს და ეტაპობრივად მოხდება სრული ინტეგრაცია დიდ ევროპულ ოჯახში.“

დასკვნა

თემის ჰიპოთეზის არსი,რომ „პოსტ-საბჭოთა საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან ცალსახად განსაზღვრა პროდასავლური არჩევანი და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია.რაც,მთელ რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მიუხედავად იმისა,რომ საქართველო თანდათან ახორციელებს ამ სტრუქტურებში გაწევრიანებისათვის აუცილებელი დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას და ღირებულებითი სისტემის შეთვისებას,ამ გზაზე მას მაინც სერიოზული დაბრკოლებები გააჩნია,“ ბადებს შემდეგ საკვლევ კითხვებს:
რამ განაპირობა საქართველოს საგარეო პოლიტიკის პროდასავლური ვექტორი? რა დაბრკოლებები არსებობს ამ გზაზე და რით არის განპირობრბული ეს დაბრკოლებები ამ არჩევანისადმი? რა მექანიზმებით ახორციელებს საქართველო ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირების პოლიტიკას? სამაგისტრო კვლევის შედეგად,შეგვიძლია დავასკვნათ,რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ სამხრეთ კავკასიის რეგიონისადმი,კონკრეტულად კი საქართველოს მიმართ,მსოფლიოს ისეთი სახელმწიფოების მხრიდან როგორიც აშშ-ი და რუსეთია,ყურადღება გაძლიერდა.მათ სურვილს უმძაფრებდა რეგიონის გეოსტრატეგიული მდებარეობა,რაც საქართველოში გავლენის სფეროს გაძლიერების მომასწავლებელი იყო.საქართველომ მეზობელი ქვეყნებისაგან განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაცია აირჩია,რამაც გარკვეულწილად წარმოაჩინა სახელმწიფოს როლი საერთაშორისო ურთიერთობებში.ამდენად,მისი საგარეო პოლიტიკა სწორედ ჰეგემონ სახელმწიფოებთან პარტნიორობასა და საერთაშორისო ალიანსებში გაწევრიანების სურვილს ემსახურება.

პოსტსაბჭთა საქართველოს საგარეო პოლიტიკის პროდასავლურ ვექტორზე,დიდი გავლენა იქონია აღმოსავლეთ პარტნიორობის ხელშეკტულებამ.საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან დაიწყო სხვადასხვა ორიენტირების ძიება და თავდაპირველად, არ იყო ჩამოყალიბებული დასავლურ კურსს აირჩევდა თუ რუსეთის

ზეგავლენის ქვეშ დარჩებოდა. შემდგომში, საქართველომ ნელ-ნელა განსაზღვრა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი და აირჩია დასავლური გზა. ამ შემთხვევაში, საქართველოსთვის სამაგალითო აღმოჩნდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეალურად მიიღეს ის სიკეთეები, რასაც ჰქვია NATO-ში და ევროკავშირში გაწევრიანება. გარდაქმნებმა, რეფორმებმა და დემოკრატიულმა პროცესებმა საქართველოსაც მისცა ბიძგი, რომ ამ გზით წასულიყო. მეორე ფაქტორი იყო ის, რომ საქართველოში არსებული კონფლიქტებიდან გამომდინარე, დავდექით რუსეთის გავლენიდან თავის დაღწევის აუცილებლობის წინაშე. იგივე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტის გადაჭრის შესახებ მრავალჯერ დადებული პირობა რუსეთმა არ შეასრულა, რამაც განაპირობა საქართველოს დასავლურ პოლიტიკურ კურსი.

ინტეგრაციის გზაზე,ერთ-ერთი და უმთავრესი დაბრკოლება იკვეთება რუსეთის მხრიდან. დასავლური კურსის ღიად დაფიქსირება ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის გაღიზიანებას იწვევს. რუსეთი დღესაც თვლის, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები არის კვლავ მისი ეროვნული ინტერესების სფერო. რუსეთი ყველანაირად ეცდება იმ ქვეყნებს, რომლებსაც ღიად აქვთ დაფიქსირებული დასავლური კურსი, შეუქმნას პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნიკური, რელიგიური პრობლემები, რათა დააცილოს დასავლური ღირებულებებიდან და ყველაფერი გააკეთოს დასავლური ღირებულებების დისკრედიტაციისთვის.

პოსტსაბჭოთა საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში სრულფასოვანი გაწევრიანება საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის ერთ-ერთ ძირითად ქვაკუთხედ პრონციპს წარმოადგენს. საქართველოს მნიშვნელოვან და პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრაცია. ამისათვის გარკვეული მექანიზმებით მოქმედებს. საქართველო ცდილობს, ევროატლანტიკურ სამხედრო და უსაფრთხოების ორგანოებთან ინსტიტუციონალური ინტეგრაციის განხორციელებას. ალიანსის მიერ წარმოებულ სამშვიდობო მისიებში მაქსიმალურად ჩაერთვას და სხვა სახის მექანიზმების რეალიზებას ,რომლის საშუალებითაც იმატებს ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხი, მშვიდობის,

სტაბილურობისა და ეკონომიკური განვითარების პროგრესირებას, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინგრაციის გზაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალადაშვილი. ბ., „სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე: ეკონომიკური ინტეგრაცია თუ ომი“- თბილისი 2010წ.;

2. ასათიანი., ს, ლეჟავა ნ.,ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი, „სამხრეთი კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები“-თბილისი 2014წ.;

3. გაჩეჩილაძე. რ., „ევროინტეგრაციის პროცესი სამხრეთ კავკასიაში“- თბილისი, 2013წ

4. გეგეშიძე. ა., „გეოპოლიტიკა“- თბილისი: ESM, 1997წ.;

5. დეკანოზიშვილი. მ., „ევროკავშირი სამხრეთ კავკასიაში-სამხრეთ კავკასია ევროკავშირში?“ - თბილისი, 2004წ;

6. ვახტანგ მაისაია,„საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები ცივი ომის შემდეგ (1991-2004)“ თბილისი2013წ

7.თურმანიძე. თ., ურუშაძე. ე., დუჩიძე. ლ., „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, ქრესტომათია“-თბილისი: სამოქალაქო ინიციატივების ინსტიტუტი, 2004წ;

8. ისმაილოვი. ე., პაპავა. ვ., ცენტრალური კავკასია:გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები-გამომცემლობა: „დიოგენე“ 2007წ.;

9.კონრად ადენაუერის ფონდი- „სამხრეთ კავკასია 2018: ფაქტები, ტენდენციები, და სამომავლო სცენარები“-2018წ.;

10.კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი- „ევროინტეგრაციის საკითხები-ვიშეგრადის ქვეყნები და სამხრეთ კავკასია“, თბილისი: 2013წ.;

11. ლაზარაშვილი. ე., „სამხრეთ კავკასიის პრობლემები და გამოწვევები“, 2014წ;

12.ლებანიძე. ბ., ლარსენი. ჯ., კახიშვილი. ლ., მაჩიტიძე. ი., „პოლიტიკის დოკუმენტების კრებული“-თბილისი. 2018წ.;

13. რონდელი. ა., „პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში“ - თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, „ნეკერი“, მეორე გამოცემა, 2009 (2003);

14. რონდელი. ა., „საერთაშორისო ურთიერთობები“- თბილისი: „ნეკერი“, მესამე გამოცემა, 2006წ., (1996);

15. Alieva L, EU and South Caucasus, CAP Discussion Paper, Bertelsmann Group for Policy Research, 2008;

16.Morgenthau. H., Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace, revised by Kenneth Thompson (New York: McGraw-Hill, Sixth Edition, 1985);

17.Spykman., N., “Frontiers, Security and International Organization,” Geographical Review, (1942)

18. Wight. M.,Power Politics, ed. Hedley Bull and Carsten Holbraad (London: Leicester University Press, Royal Institute of International Affairs, 1995);

ინტერნეტ რესურსები:

1.საქართველო-სომხეთი მდგრადი ურთიერთობები https://ge.boell.org/ka/2017/12/15/somxeti-da-sakartvelo-mdgradi-urtiertoba (გადამოწმებულია 05/06/2019)

2. საქართველო და ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება http://weg.ge/sites/default/files/sakartvelo_da_evropis_-energetikuli_gertianeba-1.pdf (გადამოწმებულია 07/06/2019)

3.საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია

http://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98.aspx ((გადამოწმებულია 10/06/2019)

4.საქართველო-ევროკავსირის თანამშრომლობა . (n.d.). Retrieved from http://smr.gov.ge/Uploads/__b19642d1.pdf
(გადამოწმებულია 11/062019)

5. გზამკვლევი ევროკავშირის/შენგენის სივრცეში უვიზო მიმოსვლისთვის, გ. ე. (თ. გ.). საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. მოპოვებული http://mfa.gov.ge/visa-free-guide.aspx
(გადამოწმებულია 13/06/2019)

6. შეთანხმება საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის http://eiec.gov.ge/NavMenu/Documents/International_agreements/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%90%E1%83%98%E1%83%AF%E1%83%90-(1).aspx (გადამოწმებულია 12/06/2019)

7.აზერბაიჯანის ისტორია http://trims.edu.az/noduploads/book/quot-%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%90%E1%83%98%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90-quot-azarbaycan-tarixi-fanni-uzra-11-ci-sinif-ucun-darslik-1538988895-939.pdf
(გადამოწმებულია 14/06/2019)

8. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი https://www.bp.com/ka_ge/georgia/home/who-we-are/_-_-_-_.html (გადამოწმებულია 15/06/2019)

9.აზერბაიჯანის მილსადენის ტრანსპორტი

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%90%E1%83%98%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98
(გადამიოწმებულია 16/06/2019)

10. ზემო ლარსის გახსნა და საქართველოს უსაფრთხოების საკითხები https://www.radiotavisupleba.ge/a/1976681.html
(გადამიოწმებულია 17/06/2019)

11. სატრანზიტო პოტენციალი ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტექსტში
http://regional-dialogue.com/geo-arm/

(გადამიოწმებულია 18/06/2019)

12. საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია http://www.ei-lat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Georgia_-_20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf

(გადამიოწმებულია 18/06/2019)

13. ანდრანიკ ტევანიანი-ვუახლოვდებით ევროპას? ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში

14. საქართველო-სომხეთი მდგრადი ურთიერთობები https://ge.boell.org/ka/2017/12/15/somxeti-da-sakartvelo-mdgradi-urtiertoba
(გადამიოწმებულია 19/06/2019)

15.საქართველო და ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება

http://weg.ge/sites/default/files/sakartvelo_da_evropis_-energetikuli_gertianeba-1.pdf

(გადამიოწმებულია 19/06/2019)